



ქართული  
სახალხო  
გმირები

კრებული შედგენილი  
ქსენია სიხარულიძის  
მიერ,  
მისივე რედაქციით,  
წინასიტყვაობითა და  
შენიშვნებით

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო  
საბაჟო და ახალგაზრდობის ლიტერატურის  
სახელმწიფო გამოცემლობა  
49 თბილისი 52

სპეგ-2000  
შემოწმებულია

## წინასიტყვაობა

საგმირო პოეზია მისთვის დამახასიათებელი ჰუმანიზმითა და ღრმა პატრიოტიზმით ყოველთვის იყო ქართული ხალხური შემოქმედების განვითარების წამყვანი დარგი. სხვადასხვა ეპოქაში თავისებურად გააზრებული ამაღლებული ჰუმანიზმი და იდეა პატრიოტიზმისა ასაზრდოებდა ხალხის შემოქმედებით გენიას. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ უძველესი საგმირო-მითოლოგიური\* თქმულება ამირანის შესახებ, შედარებით გვიან შექმნილი მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი საისტორიო სიტყვიერება, თანამედროვე ლექსები დიდ სამამულო ომსა და მშვიდობისათვის ბრძოლაზე და მრავალი სხვა.

სახალხო გმირთა შესახებ შექმნილი ხალხური შემოქმედების ნიმუშები ქართული ეროვნული კულტურის ძვირფასი განძია. მშრომელთა წრიდან გამოსულმა ბევრმა ქართველმა გმირმა შესწირა თავისი ნათელი სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებას. ბევრმა გასწირა თავი სოციალური ბოროტებისა თუ თვითმპყრობელობის უხეში რეჟიმის დასამხობად, მაგრამ მათ შესახებ უმეტეს შემთხვევაში ისტორიკოსნი და მემატიანენი დუმდნენ. სამაგიეროდ მათი სახელი უკვდავეო ხალხურმა შემოქმედებამ. მშრომელი ხალხი ღსინსა თუ ჭირში, შრომის პროცესში თუ ნადიმზე, ქება-დიდებით იხსენიებდა გამოჩენილ გმირებს და მრავალი ლექსის, გადმოცემის, თქმულებისა და ლეგენდის სახით შთამომავლობას უნახავდა რევოლუციამდელი ოფიციალური ისტორიის მიერ უგულვე-

ბელყოფილ სახელოვან წინაპართა სახელებს. ყველა ამ ნაწარ-  
მოებს უაღრესად დიდი ისტორიული ღირებულება აქვს-  
ხალხური შემოქმედებისა და კერძოდ სახალხო გმირებზე  
შექმნილი ნაწარმოებების ისტორიულსა და შემეცნებით-ღირ-  
ებულებას განსაკუთრებით ნათელს ხდის დიდი სტალინის  
სიტყვები „...ისტორიულ მეცნიერებას, თუ მას სურს იყოს  
ნამდვილი მეცნიერება, აღარ შეუძლია საზოგადოებრივი  
განვითარების ისტორია მეფეთა და მხედართმთავართა მოქ-  
მედებამდე, სახელმწიფოების „დამპყრობელთა“ და „დამმორჩი-  
ლებელთა“ მოქმედებამდე დაიყვანოს, არამედ, უწინარეს  
ყოვლისა, მან ხელი უნდა მოჰკიდოს მატერიალური დოვლა-  
თის მწარმოებლების ისტორიას, მშრომელი მასების ისტო-  
რიას, ხალხთა ისტორიას“.\*

არც ერთი ქვეყნის, არც ერთი ხალხის ისტორია არ  
შეიძლება იყოს სრულქმნილი და ჭეშმარიტი საუკუნეების  
მანძილზე შექმნილი ხალხური შემოქმედების გათვალისწინე-  
ბის გარეშე.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-  
რაობის მედროშემ, დიდმა ქართველმა მწერალმა ილია  
ჭავჭავაძემ ღრმა გულისტკივილით აღნიშნა საქართველოს ის-  
ტორიის ცალმხრივი ხასიათის შესახებ: „ჩვენი ხალხისა და  
ქვეყნის ისტორია მეტად ძნელია და შეუშუშავებელი, ჩვენი  
ერის ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენი ხალხის  
ცხოვრების შესახებ და თუ არის კანტიკუნტად სადმე, ისიც  
მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების  
თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა,  
თავის თვისებასა, თავის მონაწილეობას ისტორიაში. ერთი  
სიტყვით, ჩვენი შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-  
აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“

---

\* საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია-  
მოკლე კურსი, სახელგამი, 1950 წ. გვ. 150.

ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თვითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა“.\* უნდა აღინიშნოს, რომ პოეტის ვატაცება ხალხური შემოქმედებით, სხვათა შორის, ამ გარემოებითაც იყო გამოწვეული. დიდ ქართველ მწერალს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მშობლიური ხალხური შემოქმედების შესწავლის მნიშვნელობა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესში. მან კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღორძინების გზაზე შემდგარი ქართველი ერისთვის წინაპართა ნათელი სახეების გაცოცხლებას. ილია ჭავჭავაძე ითვალისწინებდა შთამაგონებელ ძალას ხალხურ ნაწარმოებთა იმ გმირებისა, რომელნიც იცავდნენ მშობლიურ მიწა-წყალს უცხო დამპყრობლებისაგან, ან კიდევ – მაშერალ ხალხს სოციალური ბოროტებისაგან. სახალხო გმირებზე შექმნილი სიმღერების შთამაგონებელი როლი პოეტმა გამოხატა „აჩრდილის“ დაუეიწყარი სტრიქონებით:

წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა  
მამულისათვის თავის დადება,  
ნეტა იმ ვაჟაკს, ნეტა იმ გმირსა,  
ის თავის ხალხში აღარ მოჰკედება.  
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,  
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,  
და არა ერთხელ ჰბუჟთა ყრმათა  
ხმლის ტარზე ძლიერს აუთრთოლებს ხელს;  
იმ სიმღერებს რა ისმენს მხცოვანი,  
სიბერის ჟამსა კვლავ მოიფონებს,  
გმირის სიკვდილი სახელოვანი  
ახლად ცხოვრებას მას მონადომებს;  
აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა

\* ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1927 წ. გვ. 201.

ტბილისა ხმითა ამ სიმღერასა  
და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა,—  
ინატრებს გმირის მის დიდებასა;  
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,  
გმირს მოიგონებს და განხნევდება,—  
ყოველი იმღერს და სხვა მორკმული  
გმირი იმ მღერით დაიბადება. \*

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე დიდ-  
მა წარმომადგენელმა, გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა  
აკაკი წერეთელმა თავის მოწოდებებში არა ერთხელ აღნიშნა  
ხალხური სიტყვიერების დიდი ისტორიული ღირებულება.  
მისი დავიწყება წარსულზე ხელის აღებააო. \*\* მართლაც  
ქართველი ხალხის შემოქმედებითა ფანტაზიამ გააცოცხლა  
და დავიწყებას გადაარჩინა სამშობლოსათვის თავდადებულ  
და სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლი  
გმირები. სახალხო გმირებზე შექმნილი ნაწარმოებნი გვაც-  
ნობენ „ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორიას... ჩვენი შიდა-  
ცხოვრების ჯერ ფარდა აუხდელსა და უცნობ ისტორიას“.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ქართული ხალხური  
შემოქმედებისა სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდა-  
დებაა. ამ მხრივ გამოირჩევა ლექსების ციკლი შექმნილი  
ბახტრიონისა და ალავერდის ციხეების აღებაზე. საქართველოს  
დაუძინებელმა მტერმა შაჰ-აბას მეორემ მშვიდობისმოყვარე  
ქართველი ხალხის სისხლით მორწყო შაჰ-აბას პირველის  
მიერ ერთხელ უკვე აოხრებული კახეთის მშვენიერი მიწა-წყა-  
ლი. თავისი აგრესიული პოლიტიკის განმტკიცების უზრუნ-  
ველსაყოფად სპარსეთის შაჰმა ააშენებინა და გაამაგრებინა  
ბახტრიონისა და ალავერდის ციხეები. მის მიერ კახეთში  
ჩასახლებული თურქმენ-თათრები ხშირად აოხრებდნენ არა  
მხოლოდ კახეთის, არამედ თუშ-ფშავ-ხევსურეთის მშვიდობი-

\* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, თბ. 1937 წ. გვ. 129.

\*\* „თემი“, 1913 წ. № 118.

ან მოსახლეობასაც. აგრესორების წინააღმდეგ აჯანყდა ქართველი ხალხი. აჯანყების ორგანიზატორებს წამებით გაუმასპინძლდა სპარსეთის მძევნივარე შაჰი. საქართველოს ისტორიაში ჩაწერილია სახელები აჯანყების ორგანიზატორების — არაგვის ერისთავის ზაალის, ქსნის ერისთავის შალვასი და მისი ძმის ელიზბარისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის; მაგრამ ოფიციალურ ისტორიაში არაფერი არ იყო ნათქვამი იმ სახალხო გამირების შესახებ, რომელნიც თავგანწირვით ებრძოდნენ სამშობლოს მიწა-წყალზე მოთარეშე მტრებს. ესენი იყვნენ გამირები — ზეზვა გაფრინდაული, საღირიშვილი, შველაიძე, ხოშარაული ნადირა, გოგოლაური და მრავალი სხვა.

ლექსებისა და გადმოცემების მთელი ციკლია შექმნილი თუში გამირის ზეზვა გაფრინდაული-ფუნჩაიშვილის შესახებ. იგი მტრის წინააღმდეგ აჯანყებულთა ლაშქრის წინამძღოლი ყოფილა. მოლექსებს აუწერიათ პატრიოტი გამირის საგანგებო მზადება გათავზებებული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. საინტერესოა ამ მხრივ დასაწყისი ლექსისა — „გაფრინდაულის ამბავი“:

ცხენს გაბანს გაფრინდაული,  
გაზრდილსა თივა-ქერზედა,  
ძუა-ფაფარსა დავარცხნის,  
ნალებს დააკრავს ფეხზედა.  
სალარს შეკაზმავს ზეზვაი,  
აბჯარს აისხამს ტანზედა.

ხალხური ლექსებიდან და გადმოცემებიდან ჩანს, რომ ზეზვა აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი ყოფილა. სახელოვანი თუში გამირი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად დაკავშირებია ფშავ-ხევსურებს, რომელთა შორის იგი სიყვარულით სარგებლობდა. იმავე ლექსში ღრმა პატრიოტული გრძნობით არის გადმოცემული მტრის წინააღმდეგ ამხედრებული თუშებისა და ფშავ-ხევსურების შეხვედრა. დამპყრობ-

ლებისადმი ხალხის დიდ სიძულვილს გვაგრძნობინებს კინკარაულისადმი გაფრინდაულის ამადელევებელი მიმართვა:

— ჩვენაც კაცნი ვართ, ზეზვაო,  
ქუდები გვზურავს თავზედა.  
ჩვენც სისხლი გვმართებს და-ძმების,  
ხმალნი ვალეწნეთ თავზედა.  
თათრებს კახეთში რა უნდათ,  
ქართველთა მიწა-წყალზედა.

აჯანყებულებმა აიღეს მტრის ციხეები და ამოწყვიტეს შიგ გამაგრებული თათრები. სამშობლოსათვის ბრძოლის ეს გმირული ეპიზოდი მოხდენილად არის გამოხატული ეროვნული გრძნობის სიამაყით ნათქვამ, ზეზვა გაფრინდაულისადმი მიძღვნილ, მრავალ ვარიანტად გავრცელებულ გამარჯვების სიმღერაში:

ხმალს ზეზვავს გაფრინდაული,  
თორმეტი \* მოკვალ ამითა,  
დიდი ალვანის მინდორი  
ავესე თათრის ძვალითა,  
მგელსა დავცვითე კბილები,  
ტურას—ლოყები კამითა.

ზეზვა გაფრინდაული ბახტრიონის ბრძოლის დროს ხანში შესული ყოფილა. მოღექსე გმირის პირითვე გადმოგვცემს:

თავსაც იქ დაჯდებ კალარას, ადგილს არ მივცემ ჩვენსაო.

მეორე ლექსის მიხედვით ზეზვას ასე მიმართავს მისი თანამებრძოლი ხევსური:

---

\* ქართული საგმირო ტრადიციით ცოდვად ითვლებოდა ბრძოლის დროს თორმეტ კაცზე მეტის მოკვლა. ხალხურ პოეზიაში შექებულია გმირები, რომელთაც მტრის ბანაკიდან თორმეტი კაცი მოკლეს.

ხევსურეთში ბოლო დრომდე გავრცელებულია საბავშვო თამაშობა—თორმეტის კვლა.



დაბერებულხარ, თან თუარი გამოგრევია თმაზედა.

ქალარამოსილი გმირი მოტყუებით ჩაუგდია ხელში ვერაგ მტერს და ძუაშეღებილი ცხენით ჩამოუტარებია თბილისში. ზეზვა გაფრინდაულის სიცოცხლის დასასრულის შესახებ ხალხური სიტყვიერების ცნობილი შემკრები ივანე ბუჭურაული მის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსის შენიშვნაში წერს: „ექვს გარღშეა, რომ ამასაც (ზეზვა გაფრინდაულს—ქ. ს.) ის ბედი ეწეოდა, რა ბედიც ეწია ქსნის ერისთავებს შალვას და ელიზბარს და ბიძინა ჩოლოყაშვილს, ე. ი. წამება. თუმცა ქართული მატთანე არას მოგვეთხრობს ამაზე, მაგრამ ეს გასაკვირველი არ არის, რადგანაც ქართველი მემატთანენი, როგორც საზოგადოდ სხვა ხალხისა, მხოლოდ მეფეებზე და თავად-აზნაურობაზე სწერდნენ, დანარჩენებს ყურადღებას იშვიათად აქცევდნენ“.\* ზეზვა გაფრინდაულის სახე დღესაც ცოცხალია ქართველი ხალხის წარმოდგენაში. მას აღფრთოვანებით უმღერიან ახალგაზრდა მოლექსენი. თანამედროვე მოლექსე უმღერის სოციალისტურ სოფელს და სიამაყით იგონებს გაფრინდაულის ამავს მშობლიური კუთხისადმი:

რა ლამაზი ხარ, ალვანო,  
ნაწრთობო ცეცხლის ალითა,  
მშვენიერად გასწორებულო,  
გზებო, მზომავთა თვალითა,  
მამა-პაპათა ნადავლო,  
თათრებს წართმულო ძალითა,  
სახსოვრად დატოვებულო  
ზეზვას სისხლიან ხმალითა.

ახალგაზრდა მოლექსე წინაპართა ძნელბედობას უპირის-პირებს განთავისუფლებული მშრომელების ბედნიერ ცხოვრებას. იგი მოკრძალებით იგონებს ზეზვას:

მთებს იქით იღესებოდა  
ომში ნაცადი მახვილი,

\* ხალხური სიტყვიერება, ე. თაყაიშვილის რედ. ნ. I, გვ. 64.

ბახტრიონს ახანზარებდა  
შიშის დამცემი ძახილი.  
შეაყრუოლებდა თათრებსა  
შენი ელვარე ხმალია,  
ალენის მინდორზე მფრინავი  
შენი ლურჯაი მალია,  
შორს რომ ისმოდა თქარუნი,  
შუქს რომ მოჰყენდა ნალია;  
ეგ შენი გული მედგარი,  
ბუდედ რომ ჰქონდა რვალია.

ბედნიერი სტალინური თაობის წარმომადგენელი ასე მიმართავს გმირი წინაპრის აჩრდილს:

შენ სისხლით მორწყულ მიწაზე  
შენი შვილები ხარობენ,  
არ ეშინიათ მტრებისა,  
გულდამშვიდებით ბარობენ.  
არ ეშინიათ მტრებისა,  
აქვთ ბედნიერი ცხოვრება,  
შენი ღვაწლი და ამაგი  
სულ მუდამ ემახსოვრებათ.

ასეთივე სიყვარულით იხსენიებს ხალხი ზეზვას თანამებრძოლებს: გოგოლაურს, ხოშარაულსა და სხვებს.

ბახტრიონის გმირებზე შექმნილი ხალხური ლექსები დიადი პატრიოტული გრძნობის გამომხატველია. მოლექსეები საგმირო პოეზიის დამახასიათებელი ეპითეტებით ამკობენ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს. ხალხური ლექსის მიხედვით გაფრინდაულის უდრეკი გულის ბუდე რვალი იყო. მოლექსე ასე მიმართავს გმირს:

ეგ შენი გული მედგარი, ბუდედ რომ ჰქონდა რვალია.

მტრის სიმაგრის გადალახვა გოგოლაურის მიერ გაფრენასთან არის შედარებული. მოლექსე გმირის პირითვე გადმოგვცემს:

ფეხს დავკრავ, გადავფრინდები  
ბახტრიონ გალავანზედა.

ხალხურ შემოქმედებას შემოუნახავს სახელი ძალღიკა ხომიკაურის, რომელმაც 1770 წლის ცნობილ ასპინძის ომში თავისი არაჩვეულებრივი მამაცობით მიიქცია ყურადღება ქართველი ხალხის საყვარელი გმირის, პატარა კახისა. ერთი გადმოცემით ასპინძის ომში ხომიკაურის მამაცობით აღტაცებულმა ერეკლე მეორემ გმირს ხმალი სთხოვა. მეორე გადმოცემით ხომიკაურის ხმალი მეფეს სთხოვა ასპინძის ომის მეორე გმირმა დილოიძემ. ხალხური ლექსის მიხედვით ძალღიკა ხომიკაური სამშობლოსათვის თავდადებული, მტრისაგან უძლეველი გმირია. ლექსის პატრიოტულ იდეას აღრმავებს საგმირო ეპითეტები. მოქმელი ასე მიმართავს სამშობლოს ერთგულ დარაჯს:

ძალღიკავ, ხომიკაურო, ლიქოკის ზღურბლო, ზღუდვო.

\*

ერეკლე მეორის თანამებრძოლთა შორის აღსანიშნავია ბაზალეთელი გლეხი გიორგი ვერძეული ანუ გელა ნათელაშვილი. გელა ნათელაშვილს ჰყოლია საკუთარი რაზმი, რითაც შიშის ზარსა სცემდა საქართველოში მოთარეშე ლეკებს. გელას მრავალჯერ დაუხსნია ტყვეობიდან მტრების მიერ გატაცებული ქართველები. სახელოვანი ქართველი გმირის სახელი ცნობილი ყოფილა სამშობლოს გარეთაც — სპარსელებსა და ლეკებში. გელა ნათელაშვილი სასიკვდილოდ დაჭრილა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში მანგლისში. დღემდე ფართოდ არის ვავრცელებული სახალხო გმირზე მის თანამედროვეთა მიერ შექმნილი გადმოცემები და ლექსები. ხალხურ ნაწარმოებებში რეალისტურად არის აღწერილი გელას გმირობა, მისი თავგანწირვა თავდამსხმელების წინააღმდეგ ხელჩართულ ბრძოლაში. ეს ხალხური ლექსები სრულყოფილს ხდიან პატრიოტი გმირის სახეს. მოქმელები უდრეკ გმირს კლდის ნაჭერს აღარებენ:

ეს ბახალელი გიორგი ნაჭერი არის კლდისაო.

მრავალრიცხოვანი მტრის ქურდული თავდასხმა ქართველ  
გმირზე ავი დარით არის განსახიერებული:

შუალამე რომ მოვიდა,  
ელვა შეიქნა ცისაო,  
ლეკები თავზე დააწუნენ  
ვერძეულ გიორგისაო.  
გიორგი წამოიწია,  
ლეკი მოიგდო ძირსაო,  
ურჯულოს ხანჯალი დასცა,  
შაწვივით ალებს პირსაო.

ნათელი მხატვრული სახეებით არის მოცემული გელას  
გმირობა უთანასწორო ბრძოლაში:

გიორგი მანგლის ბრუნავდა,  
როგორც ბორბალი წყლისაო,  
ისე აკაფა ლეკები,  
ვითა ტოტები ხისაო.

მოლექსე სიამაყით აღნიშნავს გელას მიერ მრავალრი-  
ცხოვანი მტრის განადგურებას:

მანგლისს აქებენ ტაძარსა,  
ნაკეთსა ქვიტირისაო,  
შიგ ბევრი ლეკი აწყვია,  
ნახოცი გიორგისაო...

დასასრულ, გულისტკივილით, მაგრამ ეროვნული გრძნო-  
ბის სიამაყით არის აღნიშნული სახელოვანი მამულიშვილის  
დაღუპვა მტრის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში:

ბოლოს მოგვიკლეს გიორგი  
ლაშქარს მამულისთვისაო,  
ლექსად გამოვტყვი მე ქება  
ქართველთა გმირობისაო.

სახალხო გმირთა გალერეას ამშვენებენ სახელები სოციალური ბოროტებით განაწამები ქართველი ქალებისა, რომელთაც თავი შესწირეს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. ისტორიულად ცნობილია ქართველი ქალების ამადლებული პატრიოტიზმი. ქართველი ქალები აკვანშივე უნერგავდნენ თავიანთ შვილებს ვაჟკაცობასა და სამშობლოს სიყვარულის დიად გრძობას. ქართველი ქალების პატრიოტიზმი მხოლოდ გმირთა აღზრდით არ განსაზღვრულა. საკირო შემთხვევებში ისინი იარაღით ხელში თავგანწირვით ებრძოდნენ მშობლიურ მიწა-წყალზე შემოსეულ მტრებს. ქალთა ასეთ მამაცობას სამშობლოსათვის ბრძოლებში ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდა. ასე მაგალითად, 1755 წელს ხუნძახის მფლობელის ნურსალ-ბეგის მეთაურობით ქართლ-კახეთში შემოსეულ ლეკთა მარბიელი რაზმების დამარცხებაში ქართველების მიერ, დიდი როლი ითამაშა მჭადისჯვრელი დედაბრის ქრისტინეს გმირობამ. მჭადისჯვრელი მოხუცი ქალის გმირობა აღნიშნულია ისტორიაშიც. ბაგრატ ბატონიშვილი წერს: „ჰოი საკვირველი, ერთმა მოხუცმა დედათაგანმან მჭადის-ჯვრელმან იხმარა სული მამაცობისა, გამოვიდა ციხით, რაოდენიმე ლეკი მოკლა თვისითა ხელითა და რაოდენიმე დაუწვა საფარი ხისა ლეკთა, ხოლო უკანასკნელ მოკლეს იგიცა, რომელსაც დღესა ქებასა მისსა მოუთხრობენ შაირითა მესტვირენი“ \*. ისტორიკოსი არ ასახელებს სამშობლოსათვის თავდადებული გლეხის ქალის სახელს, რაც ახლა უკვე დადგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში \*\*. ხალხმა კი თავის დროზე დიდი სიყვა-

---

\* ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის რედაქციით. 1941 წ. გვ. 50.

\*\* იხ. ტრ. რუხაძე, სახელი მჭადიჯვრელი დედაკაცისა, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945 წ. № 36.

რული გამოხატა პატრიოტი ქალისადმი და მისი გმირობა მესტვირული პოეზიის საგნად აქცია. ჩვენამდე მოღწეულ ხალხურ ლექსში ხაზგასმით არის აღნიშნული ქრისტიანის არაჩვეულებრივი მავაცობა:

იქ რომ ბებერმა საქმე ჰქნა, ის არ უქნია სხვაასა.

\*

წარსულში ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის, საქართველოში უცხო ტომების თარეშისა და გამწვავებული ბატონყმური ურთიერთობის შემზარავი სურათებია მოცემული ერეკლე მეორის თანამებრძოლი სახალხო გმირი ქალების—მაია წყნეთელის, თამრო ვაშლოვანელისა და თინა წავეკისელის თავგადასავლის ამსახველ ლექსებსა და გადმოცემებში.

მაია წყნეთელი ზნედაცემულმა ბატონმა თავისი ცხოველური ეინის მოსაკლავ საგნად გაიხადა. მაიას მამამ, თავმოყვარე ქართველმა გლეხმა, ვერ აიტანა ასეთი შეურაცხყოფა და ტყეში თავი ჩამოიხრჩო. უპატრონოდ დარჩენილი დედა კი შიმშილმა იმსხვერპლა. მამაკაცურად ჩაცმული, მათეს სახელით, შურისძიებით ანთებული მაია მეფის კარზე მივიდა მათე-მაიას მეფის კარზე მისვლის ამბავი გადმოცემულია ლექსში—„ერეკლესა და მაიას შეხვედრა“.

გმირმა ქალმა ბევრჯერ ისახელა თავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერეკლე მეორეს განსაკუთრებით ჰყვარებია გმირი მათე. მათე-მაია მეფის კარზე მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ ზრუნავდა. მან დახოცა ყიზილბაშები და ტყვეობიდან დაიხსნა ბატონთა მიერ გაყიდული თორმეტი ქალვაჟი. მათე-მაიას აუშხედრდნენ ბატონები. მრავალგვარი ინტრიგებით მას გაუფუჭეს მეფესთან დამოკიდებულება. მაია ყაჩაღად გავარდა. მათე-ყაჩაღი მამაცურად ებრძოდა ერთის მხრივ სოციალურ ბოროტებას და მეორეს მხრივ მშობლიურ მიწაზე მოთარეშე მტრებს. გმირი ქალი ერთ-ერთ ბრძოლაში ტყვედ ჩაუვარდა სპარსელებს. ის გაიქცა, მაგრამ

გზაში მოკლეს. მშრომელმა ხალხმა გულწრფელად დაიტირა გმირი ქალი. ღრმა გულისტკივილით არის ნათქვამი მათა წყნეთელის თავგადასავლის ამსახველი ლექსები. ეს ლექსები ნამდვილი გოდებაა ბედუკუღმართობით განაწამებ ქალზე. ასეთია, მაგალითად, მათას სიკვდილზე შექმნილი ლექსის სტრიქონები:

გზაში მოუსწრო სიკვდილმა,  
ტანჯული სული დალია,  
მოუკვდათ ბეჩავ გლეხებსა  
მათი დამცველი მათა.  
ტრიალ მინდორზე ობლადა  
მათა ასაფლავია,  
ციდან მის საფლავს ანათებს  
დღისით მზე, ღამით მთვარეა.

თავდადებული გმირისადმი ხალხის სიყვარულის მაჩვენებელია აგრეთვე სადა და მარტივი ორხსტრიქონიანი ლექსი:

მათე-მათას ჰირიმე,  
იყავ ფალავან გმირია,  
უზნეო ბატონებისა  
სიკვდიმდე დიდი ჰირია.

სიყვარულით უმღერა ქართველმა ხალხმა სახელოვან მებრძოლ ქალებს თამრო ვაშლოვანელსა და თინა წაეკისელს.

ობოლი გლეხის ქალი თამრო ვაშლოვანელი ბატონმა გაყიდა. მამაცმა ქალმა თავი დაიხსნა ტყვეობიდან. იგი შეუპოვრად ებრძოდა სამშობლოს მტრებს. ამის გამოა ნათქვამი მარტივი ლექსი:

ლექები სულ გავაქციეთ  
მთვარიანი ღამითაო,  
უკან თამრო გამოუდგა  
ჯანგიანი ხმალითაო.

თამრო ვაშლოვანელი ბატონების ინტრიგის მსხვერპლი გახდა. დევნილი ქალი მტკვარში დაახრჩვეს. ხალხმა გულისტკივილით აღნიშნა გმირი ქალის დაღუპვა. ღრმა სინანულით არის ნათქვამი ხალხური ლექსები:

ვაშლოვნელებს ვილა მისცემს,  
საყვარელს მათსა ქალსაო,  
ნეომარსა, ფალავანსა,  
გმირ ვაჟკაცების ცალსაო;  
თრიალეთს დიდსა საყდარში  
თამარი ასაფლავია,  
მისებრ ერთგული, მამაცი,  
ჩვენ არ გვყოლია ქალია.

ბატონყმური ურთიერთობისა და უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა თინა წავეკისელიც. თინამ მოკლა მისი შეურაცხმყოფელი ბატონი, დაიხსნა ტყვეობიდან თავადების მიერ გაყიდული ქართველი ახალგაზრდები და არა ერთხელ ისახელა თავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში. თინა წავეკისელი დაიღუპა ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში. მრისხანე მტრის ხელში ჩავარდნილი გმირი ქალის სულისკვეთებას გვაცნობს ლექსი „თინა წავეკისელი ერეკლე მეფეს“.

\*

ფართოდ არის გავრცელებული პატრიოტული გრძნობის გამომხატველი ლექსი სოლოღას შესახებ. ეს ლექსი საქართველოში ოსმალთა აგრესიის ამსახველია. ოსმალებისაგან შევიწროებულ ქართველებს გმირი სოლოღა სტამბოლში გაუგზავნიათ, ხონთქრის კარზე. ლექსის მიხედვით სოლოღა ხონთქრის ვეზირს ეუბნება: „საჩივარი მაქვს კარზედა“. გმირს უსახელებია ქართველები. ცხენით ჯირითში შეჯიბრებაში დაუმარცხებია ხონთქრის კარზე მყოფი განთქმული არაბი. სოლოღა ხონთქარს უხვად დაუსაჩუქრებია და ისე გამოუსტუმრებია სამშობლოში. ეს ამბავი გამხდარა საგანი ლექსისა, რომელიც მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

\*

მრავალ ვარიანტად არის აგრეთვე გავრცელებული ლექსი სოლომონ ბუტულაშვილის შესახებ. სოლომონ ბუტულაშვილს



თავი უსახელებია ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში. პატრიოტული გრძნობის გამომხატველია სოლომონ ბუტულა-შვილზე შექმნილი ლექსის საგმირო ეპითეტები:

ფეხმარდი იყო სოლომონ,  
მაგრად ედგა ზარბაზნებსა,  
გაქცევაში ქორსა ჰგავდა,  
სიმარდეში შავარდენსა,  
ეგრე იჭერდა ოსმალებს,  
როგორც რომ მიმინო მწყერსა.

ბრძოლაში გამარჯვებული გმირი მოტყუებით მოუკლავთ ჩასაფრებულ მტრებს. მისი ნეშტი თანამებრძოლებს ბრძოლის ველიდან მშობლიურ კუთხეში წამოუსვენებიათ. მშობელი ხალხი სამგლოვიარო პროცესიით შეხვედრია დაღუპულ გმირს. ეს ამბავი ღრმა განცდით არის გადმოცემული ლექსში.

ხალხის დიდი სიყვარულის მაჩვენებელია ლექსები საქართველოში მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ მებრძოლ პაატა ბალაშვილზე. პაატა ბალაშვილი ქიზიყელი, ს. ბოდბეში მცხოვრები გლეხი იყო. იგი რაზმავდა ხალხს გათავხედებული ლეკების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ლეკებს მოუკლავთ. მისი ძმები—ზაალი და ზურაბი. შურისძიებით ანთებულ პაატას გაუნადგურებია მტრის მრავალრიცხოვანი ლაშქარი. პაატა ბალაშვილზე შექმნილი ხალხური ლექსები გვაუწყებენ იმ დიდ უბედურებას, რაც ჩვენმა წინაპრებმა განიცადეს წარსულში. მოხდენილი მხატვრული ხერხებითაა გადმოცემული პაატას ძმის დაღუპვა სამშობლოსათვის ბრძოლებში:

ზაალის თოფი მოარტყეს,  
თვალია ხმელეთისაო  
ზურაბიც მას მიაყოლეს,  
დაბნელდა შუქი მზისაო.

ერთ-ერთ ლექსში ღრმა პატრიოტული განცდითაა გადმოცემუ-

ლი პაატას გამარჯვება ბრძოლაში და მტრის მარცხი. გაქცეულ  
მტერს ხალხი ტყის ნადირს ადარებს:

ისე გაიქცა მუცალი,  
როგორც ნადირი ტყისაო.

\*

ხალხის მეხსიერებაში დღემდე ცოცხალია თუში გმირები—  
გიგა და გიორგი. მრავალ ვარიანტად არსებული მათი გმი-  
რობის ამსახველი ვრცელი ლექსიც წარსულში ჩვენი ქვეყნის  
დიდი ტრადიციის მაჩვენებელია. მასში ასახულია ლეკებისა  
და თათრების თარეში მშვიდობიან ქართველ მოსახლეობაში.  
გიგა და გიორგი დაიღუპნენ მრავალრიცხოვან მტერთან  
ბრძოლაში. მტრის ქურდულ თავდასხმას ქარფველ მეცხვა-  
რეებზე მოლექსე ასე გადმოგვცემს:

გათენებისას დაეცნენ,  
შავად დაჰხურეს ცანია.  
ან კიდევ: ეგრე აივსო ხეები,  
როგორც რომ ნიაღვარია.

ამ ლექსში მხატვრულ სახეებშია გადმოცემული ვერაგი  
მტრის წინააღმდეგ ამხედრებული ხალხის სამართლიანი შუ-  
რისძიება:

დასხდნენ, დალაგდნენ თუშები,  
წავიდნენ როგორც ქარია;  
აღმოსავლეთის მხარითა  
მაღალი ლეკის მთანია,  
აგრე გადუდით იქ ცხვარი,  
როგორც რომ ღარზე წყალია.  
წამოეწივნენ თუშები,  
როგორც რომ ნიავე-ქარია.  
წინ-წინ მოუკლეს ბელადი,  
დაარტყმინეს მხარია,

აგრე გაწყვიტეს ლეკები,  
მომბე ალარ არია.  
წამოუარეს ვაცებსა,  
ჟან უბრუნეს ცხვარია.

მტერზე ამ სახელოვან გამარჯვებას თან ახლდა გიგასა და გიორგის დაღუპვით გამოწვეული გლოვა. ღრმა პატრიოტული გრძნობით არის შთაგონებული დაღუპული გმირების გლოვის ამსახველი უშუალო, მაგრამ ღრმად გრძნობიერი სტრიქონები:

დაითამაშეს ვაცებმა,  
ჩეთმას ჩარეკეს ცხვარია.  
რა გათამაშებთ, ოხრებო,  
გიგა-გიორგი მკვდარია.  
ფშავმა ჩაიცვა შავები,  
ყველამ შესწყვიტა ჩქამია,  
აგრე დატირის ქურანი,  
როგორც საყვარელს ქალია.  
სამი დღე და სამი ღამე  
ვაცმა არ გასძრა რქანია,  
ძაღლებიც აგრე ჰგლოვობენ,  
თითქო შვილი ჰყავთ მკვდარია.

გიგასა და გიორგის შესახებ შექმნილ ნაწარმოებთა ციკლს უნდა ეკუთვნოდეს ლექსი „გიგაის ცოლი“. საფიქრებელია, ამ ლექსის გმირი, მტრის წინააღმდეგ ამხედრებული ქართველი ქალი, ცოლი იყო მეცხვარის გიგასი, რომელიც ძმასთან ერთად დაიღუპა მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. პატრიოტი ქალის გმირულ სახეს აძლიერებს მისი საბრძოლო სამზადისი. იგი ამხედრებულია ქმრის ლურჯაზე. პატრიოტული ლექსის ერთი უძლიერესი ადგილია შურისძიებით ანთებული ქალის შებმა ვერაგ მტერთან:

ქალმა დაჰკივლა თათრებსა—  
„საით მიგიდით ცხვარია“.

გაიძრო თავის ფრანგული,  
გიგას ნაჭერი არია.  
გაპკრა, გამოპკრა თათრებსა,  
მინდორს გაშალა თავნია.  
კაფა და კაფა ურჯულო,  
ჰალას ჩაყარა მკვდარია,  
გამოუქეჩა ვაცებსა,  
ჩეთმას ჩარეკა ცხვარია.

ლექსში ღრმა განცდით არის, გადმოცემული ხალხის გლოვა თათრების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული გმირისა. სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობა და მშრომელი ხალხის ჯანსაღი ოპტიმიზმი შესანიშნავად არის მოცემული ლექსის დასასრულს, გიგაის ცოლის გოდებაში:

ნუ დაიდარდებ, გიგაი,  
ცხვარი ჩვენ ხელთვე არია.  
ისე გავუძღვე ცხვარ-ძროხას,—  
არ მოვაშორო თვალია;  
საცა შემოვხვდე ურჯულოს,  
ფიცხლავ მოვაპრა თავია.

სახალხო გმირთა პლეადას ეკუთვნიან თათართა წინააღმდეგ მებრძოლი ხვედია გუდამაყრელი და ყაყიჩი შავერდაშვილი.

ხვედია მწყემსი ყოფილა, მას მრავალჯერ დაუმარცხებია თათრები, რომლებიც თავს ესხმოდნენ მეცხვარეებს. მოლექსე გმირის პირითვე ასე გადმოგვცემს მის დიდ ამავს მშობლიურ ხალხზე:

გეძებდით, თათრის შვილებო,  
ჯავრი მაქვს წინა წლისაო,  
შარშან რომ თუშებ დახოცეთ,  
იმათსა ვიღებ სისხლსაო;  
მიუდი საიქიოსა,  
იმათაც წყალსა ზიდაო,

ხომ გაგისტუმრეთ, თათრებო,  
არ გაგიფერეთ სხვისაო,  
მე ბევრი სხვაც გავისტუმრე  
ყაჩალი თათრებისაო.

გმირი ყაყიჩი შავერდაშვილი დაღუპულა თათრების ერთ-ერთი თავდასხმის დროს ფშაველ მეცხვარეებზე. საგმირო პოეზიაში მისი სახე ტრადიციული მხატვრული ხერხითაა მოცემული:

ყაყიჩი შავერდაშვილი ქორსა ჰგავს მალღის მთისასა.

მოლექსეს ღრმა განცდით აქვს გადმოცემული ყაყიჩის დაღუპვა თათრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ლექსის დასასრულში გამოხატულია ხალხის გულწრფელი გოდება სამშობლოს ერთგულ შვილზე:

თოფ დაჭკრეს უქშერებულსა,  
სისხლითა ჰღებავს ქვიშასა,  
ჩობნების ტირილს გაჰკვირდნენ,  
ქექასა ჰგავდა ცისასა:  
„ვინ ჩავა სათათრეთშია,  
კვალს ვინ ჩაჰყვება ცხერისასა,  
ვინ გაგვიბრუნებს ბელადსა  
ურჯულთა თათრებისასა“.

მთის საგმირო პოეზიაში ყურადღებას იქცევს ხოგაის მინდის სიკვდილზე შექმნილი ლექსი. ამ ლექსის მდიდარი სიმბოლიკა გამომხატველია საქართველოში დიდი ხნიდან განმტკიცებული გმირის კულტისა, საყვარელი გმირის სიკვდილს მახლობელ-ნათესავეებთან ერთად გლოვობს მთელი ბუნება.

\*

ქართულ ხალხურ პოეზიაში ქება-დიდებით იხსენებიან ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები: ზვიადა ლობჯანიძე და გულითად გავაშელიშვილი. ზვიადა ლობჯანიძეს თვითნება, სასტიკი ბატონების წინააღმდეგ აუმხედრებია

სოფელ ღების მცხოვრებნი. შეთქმულ ღებელებს მოუკლავთ მათი სისხლისმსმელი არეშიძენი. ხალხი ისე ყოფილა აღშფოთებული არეშიძეთა მიერ ქვრივ-ობოლთა აწიოკებით, პატარძალთა შეურაცხყოფით და ბატონყმობის სხვა სამარცხვინო მხარეებით, რომ არეშიძეთა მკვლელობაში მონაწილეობა მიუღია დასნეულებულ გულითად გავაშელიშვილსაც.

მადლიერ ხალხს შეთქმულების ინიციატორ ზვიადა ლობჯანიძესა და არეშიძის მკვლელ გულითად გავაშელიშვილზე შეუქმნია ვრცელი ლექსი. ეს ლექსი ბოლო დრომდე საფერხულო სიმღერაა რაჭაში... სიმღერა ზვიადა ლობჯანიძესა და გულითად გავაშელიშვილზე საქართველოში კლასთა ბრძოლის ამსახველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბუთია.

კლასთა ბრძოლის ისტორიისათვის ძვირფას მასალას გვაძლევს მეჩვიდმეტე საუკუნეში არაგვის ერისთავის ზურაბის მთის ხალხზე სისხლიანი ლაშქრობის ამსახველი ნაწარმოებნი. ზურაბმა მოახერხა ბაზალეთიდან ღვიძლი ძმის, ბაადურის გაძევება. ამის შემდეგ იგი თავისუფლად თარეშობდა მთიულეთსა და ხევში. დაუნდობელმა ერისთავმა განიზრახა ფშავ-ხევსურეთის დამორჩილება. ამ ბოროტი განზრახვით იყო გამოწვეული მისი თავდასხმები ფშავსა და ხევსურეთზე. ზურაბმა მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ ბევრი მშვიდობისმოყვარე ქართველი მთიელის სისხლი დაიღვარა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ხალხურ ნაწარმოებთა მთელი ციკლია შექმნილი ზურაბის ლაშქრობაზე მთის ხალხში. ხალხურ ნაწარმოებებში ზოგჯერ მითიური ელფერით არიან მოსილნი ზურაბის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები. ქართველ მთიელებს სალოცავად ჰქონდათ მიჩნეული ზურაბის წინააღმდეგ მებრძოლის, მამუკა ქალუნდაურის საფლავი. ამ გმირზე შექმნილია მრავალი თქმულება და ლეგენდა. აღსანიშნავია, რომ იგი იხსენიება თვითმპყრობელობის უხეში რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლის, 1905 წლის რევოლუციის მონაწილე ხევსური მამუკა გოგოქურის შესახებ შექმნილ ლექსში:

რას ამბობს ქალუნდაური,  
ბეგენტგორ მეომარია?  
მარტო რომ ჩაჰყვა ლაშქართა,  
ხოცა ზურაბის ჯარია,  
მეთორმეტეა რომ შემოკრა,  
დადგა, ჩაავო ხმალია.

აღფრთოვანებული სიმღერა უძღვნა ხალხმა აგრეთვე ზურაბ ერისთავის მკვლელს ელუმე თულუმეშივილს. მოლექსე ასე მიმართავს მას:

ელუმე თულუმეშილო,  
ვეფხვი ხარ, ველის კანჯარი,  
შენ მოჰკალ ერისთვის შვილი,  
ზურაბს შენ დაეც ხანჯალი.

\*

ქართულ საგმირო-საისტორიო პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ლექსებს მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის სახალხო გმირებზე. ეს გმირები იბრძოდნენ ერთის მხრივ შინაური კლასობრივი მტრების—თავად-აზნაურების, სამღვდელთების, ჩარჩ-ვაჰტრების, მეორეს მხრივ—ნაციონალური ჩაგვრის, თვითმპყრობელობის უხეში რეჟიმის წინააღმდეგ. ასეთები იყვნენ ქართველი ხალხის საყვარელი გმირები: არსენა ოძელაშვილი, ნიკოლოზ მეხუზლა, სისონა დარჩია, სიმონა დოლიძე, მიხა ჭუჭულაშვილი, მამუკა გოგოჭური, სადარა არაბული და მრავალი სხვა. მრავალგვარმა უსამართლობამ ეს გმირები იძულებული გახადა მოშორებოდნენ მშობლიურ კერას, შეფარებოდნენ ტყვეს, გაქცეულიყვნენ ყაჩაღად თუ ფირალად და შური ეძიათ ხალხის მიჯგვრელებზე. მართალია, მათ შურისძიებას სტიქიური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ იგი მაინც გაყვლდნენ მშრომელი ხალხის საკუთარი უფლების შეგნების გამომხატველი იყო. ამიტომ მათ გამოსვლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში

გლებთა აჯანყების ისტორიის შესასწავლად. ყაჩაღად თუ ფირალად ქცეულ ქართველ სახალხო გმირთა მოქმედებასაც ახასიათებს დიდი სტალინის სიტყვები: „ჩვენ, ბოლშევიკებს, ყოველთვის გვაინტერესებდა ისეთი ისტორიული პიროვნებები, როგორცაა ბოლოტნიკოვი, რაზინი, პუგაჩოვი და სხვ. ამ ხალხის გამოსვლებში ჩვენ ვხედავდით ჩაგრული კლასების სტიქიური აღშფოთების, ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ გლებობის სტიქიური აჯანყების გამოხატულებას. ჩვენთვის ყოველთვის წარმოადგენდა ინტერესს გლებობის ამგვარ აჯანყებათა პირველი ცდების ისტორიის შესწავლა.“\*

ქართველი ხალხის ხსოვნაში დიდხანს იცოცხლებს არსენა ოძელაშვილი. არსენას მოქმედება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის, იმ ხანას, როცა ბატონყმურმა ურთიერთობამ საქართველოში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. ამას დაერთო ჩარჩ-ვაჭრების მომძლავრებაც. ხალხი თავის აღშფოთებას უსამართლობის წინააღმდეგ, როგორც აღენიშნეთ, სტიქიური გამოსვლებით გამოხატავდა. ჩვენი ქვეყნის წარსულის დამახასიათებელი მრავალგვარი უსამართლობა და მშრომელი ხალხის პროტესტი მის წინააღმდეგ მეტად რეალისტურად აისახა სახალხო გმირზე შექმნილ შესანიშნავ მესტერიულ ლექსში. არსენას სახელი ვაეკაცობის სიმბოლოდ იქცა. ვრცელი ლექსი არსენა ოძელაშვილზე მესტერიეთა რეპერტუარის დამამშვენებელი იყო. არსენა ოძელაშვილის გმირობა და მის შესახებ გავრცელებული ხალხური ლექსი გახდა წყარო ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებისა. არსენას საგმირო ამბებით არის შთაგონებული დაუფიწყარი სტრიქონები ილია ჭავჭავაძის უკვდავი ქმნილებების „კაკო ყაჩაღისა“ და „გლახის ნაამბობის“. „ხალ-

---

\* „ამხანაგ სტალინის საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან“, ქართ. გამოცემა, 1932 წ. გვ. 12.



ხურ შემოქმედებაში ზოგჯერ გაიგივებულიც კი არის არსენა ოძელაშვილისა და ამ პოემის გმირების—კაკოსა და ზაქროს სახეები.\*

ხალხურ ლექსში აღწერილია არსენას შეუპოვარი ბრძოლა ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ. არსენა ოძელაშვილის ღრმა ჰუმანიზმი, მისი გამოქომაგება გაყვლეფილი მშრომელი ხალხისადმი, ბრძოლა მტრის წინააღმდეგ ხალხმა გმირის პირითვე გადმოგვცა მესტიურულ ლექსში:

მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს,  
ღმერთი როგორ წაახდენსა.  
სადაც თათარს დაინახავს,  
„ბურდა ვალას“ აძახებსა,  
სადაც ტიტველასა ნახავს,  
თავის პერანგს ჩააცმევსა.

ხალხურ ლექსში მოცემულია სოციალური ბოროტებისაგან დამახინჯებულ პირთა სახეებიც. ასეთია გადაგვარებული ფარსადან ბოდბისხეველი, რომელმაც არ დაინდო ხალხის საყვარელი გმირი.

ლექსის ყოველი სტრიქონი გვაგარძნობინებს ხალხის დიდ სიყვარულს მშრომელთა მოსარჩლე გმირისადმი. არსენა ოძელაშვილის დიდი ამაგი სოციალური ბოროტებისაგან სულშეხუთულ მშრომელებზე ხალხმა უაღრესად გულწრფელი, სადა და მარტივი, მოკლე ანდერძით გამოხატა:

აქაც კი კაცი იყო,  
იქ ნათელი დაადგესა.

მშრომელი ხალხის ექსპლოატატორთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირის სახეს აცოცხლებს მოხეური ლექსი ციცკას შესახებ; ციცკამაც თავისი პროტესტი თვითმპყრობელობის

---

\* ქ. სიხარულიძე, ლიტერატურულ ნაწარმოებთა ფოლკლორული ვარიანტები, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. V.

უხეში რეჟიმის წინააღმდეგ ყაჩაღად გავარდნით გამოხატა. ჩვენამდე მოღწეული ხალხური ლექსი ფრაგმენტი უნდა იყოს უფრო ვრცელი ნაწარმოებისა, რომელშიაც აღწერილი იქნებოდა მშრომელი ხალხის დიდი უბედურება წარსულში, მიზეზი ციკკას ყაჩაღად გავარდნისა. ამ სახალხო გმირის მოქმედება არის წყარო ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობისა. მწერალი გვაცნობს ციკკას გაყაჩაღების მიზეზს. მოთხრობაში მოცემულია წარსულში მშრომელი ხალხის ყოფის გულსაკლავი სურათები. ხალხური ლექსის ფრაგმენტში გადმოცემულია ყაჩაღად გავარდნილი გმირის სამართლიანი შურისძიება ჩარჩ-ვაქარზე, რომელიც მეფის მოხელეთა მხარდაჭერით სისხლს სწოვდა მშრომელ ხალხს.

ლექსი ციკკას შესახებ არ არის მდიდარი მხატვრული სახეებით, მაგრამ იგი საყურადღებოა თავისი უშუალოდითა და განცდის გულწრფელად გამოხატვით. ლექსი ციკკას ყაჩაღად გავარდნის ამბით იწყება. შინაარსი აგებულია ციკკასა და ვაქარის შეხვედრის მოტივზე და ვითარდება დიალოგის ფორმით.

\*

საჩონგურო სიმღერებად არის ქცეული ხალხური ლექსები ფირალების — ნიკოლოზ ძეხუზლას, სისონა დარჩიას, დათიკო შევარდნაძის, სიმონა დოლიძისა და სხვათა შესახებ. ეს გმირები თავგანწირვით იბრძოდნენ შინაური კლასობრივი მტრებისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. მათზე შექმნილ ხალხურ ლექსებს დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვთ, მათში რეალისტურად არის გადმოცემული გლეხების გაბედული პროტესტი მრავალგვარი უსამართლობის წინააღმდეგ. თავისუფლებისათვის მებრძოლ სახალხო გმირებთან ერთად ეს ლექსები გვაცნობენ თვითმპყრობელური რეჟიმით დამახინჯებულ ადამიანთა ტიპებს — „ურიადნიკ“ ჯაფარიძეს, ნინიძეს,

ქელიძესა და სხვებს. ჯაშუშებმაც მიერ გაყიდული გმირები ადვილად არ ნებდებოდნენ მეფის ჯალათებს. ისინი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი ქედს არ უხრიდნენ უხეშ ძალას.

აღტაცებას იწვევს ამ გმირების სიმამაცე მძიმე განსაცდელის წუთებში. 1889 წელს საკატორლოდ გამზადებული ძმები, ფირალები—ვასილ და სისონა დარჩიები გაექცნენ პოლიციას. რამდენიმე თვის შემდეგ ვასილი მოკლეს. სისონა არ შეუშინდა მეფის ჯალათებს, მივიდა სახლში და დაიტირა მოკლული ძმა. ეს ამბავი ღრმა განცლით არის გადმოცემული ხალხურ ლექსში. გოდება მოკლულ ძმაზე გვაცნობს მტრისადმი შურისძიებით ანთებული გმირის სულისკვეთებას:

შენ მკვდარი ხარ, მე ცოცხალი,  
როგორ გავიარო გზაში.  
ადე, ბიჭო, შემომხედე,  
თოფი არ მკრას ვინმემ თავში.  
მალე შენსა მოლაღატეს  
გავაგზავნი მალა ცაში.

სისონა დარჩია მეფის მოხელეებმა 1891 წელს მოკლეს. გამძვინვარებული რეაქციის წლებში მეფის ჯაშუშთა ღალატი მოკლეს აგრეთვე 1905 წლის რევოლუციის მონაწილენი — დათიკო შევარდნაძე და სიმონა დოლიძე—პირველი 1909 წელს, მეორე—1911 წელს. დათიკო შევარდნაძესა და სიმონა დოლიძეზე შექმნილი ლექსები ღრმად გაგვაცდევინებს სახალხო გმირთა თავგანწირვას სიმართლისა და თავისუფლებისათვის. ისინი გვაგრძნობინებენ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ მძვინვარე რეაქციის საშინელ ქარაშხალს, რამაც იმსხვერპლა მშვიდობისა და თავისუფლებისმოყვარე მრავალი მშრომელი ადამიანი. ეს ლექსები საქართველოში რევოლუციური მოძრაობის უტყუარი დოკუმენტებია, ამდენად მათ უაღრესად დიდი ისტორიული ღირებულება აქვთ.

ლექსებს ფირალების შესახებ სათავგადასავლო ხასიათი აქვთ. მათი შინაარსი მოლექსეებს მეტწილად გმირის პირობითვე გადმოუციათ.

ეს ლექსები არ გამოირჩევიან მხატვრული სრულქმნითა და პოეტური დახვეწილობით, მაგრამ მათშიც გვხვდება მოხდენილი შედარებანი, ეპითეტები და სიმბოლოები.

დათიკო შევარდნაძეზე შექმნილი ლექსის მიხედვით გმირი სიმბოლიურად გადაოგვცემს მისი სამართლიანი მოქმედების მიზანს:

ეკალს ძირს მისთვის ვუთხრიდი,  
ხალხს რომ შევხედროდი ვარდად.

სიმბოლიურად არის გადმოცემული გმირის სიცოცხლის დასასრული:

დღეს კი მიმუხთლა ცამ რისხვით,  
და მიწამ პირი დამიღო.

ასეთივე ფორმით არის განსახიერებული მტრის სიკვდილიც:

დავუბნეღე მზე ერთ ჩაფარს.

სიმონა დოლიძეზე შექმნილი ლექსის დასაწყის სტრიქონებში სიმბოლიურად არის მოცემული გმირის ღალატით სიკვდილი:

იმედის ძაფი გამიწყდა,  
აწ სიცოცხლეს აღარ ველი:  
ცხრა ენკენისთვის მესიზმრა,  
ვითომ ყელს მებვია გველი,  
ვეცადე, ვერ მოვიშორე,  
ისე შემეშალა ხელი.

ამავე ლექსში ხალხის მტრები დახასიათებულია შესაფერიისი ეპითეტებით:

ან კიდევ: ჯაშუშები აირიენენ, ვითა რწყილი და კორიზა,  
ბურკულაძეს გაეკიდნენ ურჯულოები, ძალღები.

\*

მდიდარსა და მრავალფეროვან ხეესურულ საგმირო პოეზიაში ყურადღებას იპყრობს ლექსების ციკლი 1905 წლის

რევოლუციის გმირების მამუკა გოგოჭურისა და სადარა არაბულის შესახებ. მამუკა გოგოჭური ხევესურეთის სოფელ ბუჩუკურთიდან იყო, სადარა არაბული კი — დათვსიდან. რევოლუციის შემდეგ, შავბნელი რეაქციის დროს, მამუკამ და სადარამ შეუპოვარი ბრძოლა აწარმოეს ხალხის მოლაღატეთა წინააღმდეგ. თიანეთში დახოცეს ყაზახები, საწყობიდან გაიტაცეს იარაღები და სოფლებიდან განდევნეს მეფის მოხელენი. საპასუხოდ მეფის მთავრობამ ხევესურეთის მოსახლეობა ეგზეკუციით ააწიოკა. სადარამ ვერ აიტანა ხალხის ტანჯვა და პოლიციასთან გამოცხადდა. მეფის ჯალათებმა თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი ჩამოახრჩვეს. ამის შემდეგ მამუკა გოგოჭური ისევ განაგრძობდა ბრძოლას უსამართლობის წინააღმდეგ. მეფის ჯაშუშების ლალატით ისიც ხელში ჩაუვარდა პოლიციას. ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალი მამუკა მოკლეს თერგვის ხეობაში, ძაუგის მახლობლად, სოფელ ბალთას. რამდენიმე ხნის შემდეგ ხევესურებმა მისი ძელები მოიპარეს და მშობლიურ მიწას მიაბარეს\*.

ხალხურ ლექსებში ღრმა განცდით არის გადმოცემული მეფის ჯალათების წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლთა გმირობა. მოლექსეები მოკრძალებით იხსენიებენ ხალხისთვის თავგანწირულ გმირებს. მთქმელებს საკმარისად არ მიაჩნიათ საკუთარი პოეტური უნარი მათი გმირობის გადმოსაცემადერთი მოლექსის სიტყვებით:

მამუკასა და სადარას შესაფერს ვერვინ ვტყვისა.

ხალხს შეუქმნია მეტად გრძნობიერი ლექსი სადარა არაბულის გუბერნატორთან გამოცხადების შესახებ. ხალხი ამართლებს გმირის საქციელს. ეგზეკუციით ხალხის დარბევამ

---

\* დაწვრილებითი ცნობები მამუკა გოგოჭურისა და სადარა არაბულის შესახებ მოგვაწოდა მამუკა გოგოჭურის ძმისწულმა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტმა დავით ლევანის ძე გოგოჭურმა. — ქ. ს..

შეაძრწუნა სადარა. მისი უანგარო ამაგი ხალხისადმი, მა-  
ღალი ჰუმანიზმი და ვაჟკაცური სულისკვეთება ასე გადმოუცია  
ხალხს:

ისევ არჩია სიკვდილი  
თემ-სოფლის დაღუპვასაო,  
მივიდა, გამოეცხადა,  
დილა თენების ხანსაო.  
„მე ვარ სადარა, ბატონო,  
რო გიწვალებდი ჯარსაო,  
მეძებდა შენი ჯარები,  
ჩემს ვერ იგებდნენ კვალსაო;  
მე ვდებდი, გუბერნატორო,  
შენ გუბერნიას ხარსაო.  
აწ მოველ თავის ნებითა,  
მე აღარ გიქცევ ძალსაო“.

ჯულის სიღრმეს სწვდება გმირის მშობლიურ კუთხესთან  
:გამოთხოვების ამსახველი ლირიზმით სავსე სტრიქონები:

მშვიდობით, სალო კლდეებო!  
თქვენ მე გაძლევდით ბანსაო,  
მშვიდობით, ჩემო სწორებო,  
ვინც ჩემს მედექით მხარსაო.

ხალხმა გულწრფელად დაიტირა თავისუფლებისათვის ბრძო-  
ლაში დაღუპული გმირები. ხალხი კიცხავს და სამღურავითა  
და ზიზღით იხსენიებს მამუკას მოღალატეს:

გემდური, გუდამაყრელო,  
პატრონო ბევრის ცხვრისაო,  
ღალატით მოაკვლევინე,  
ვერ მოქცეულხარ ჭკვითაო.  
რად გამოდიხარ მზეზედა,  
შემრცხვენელო თემობისაო?  
ჩიქილა უნდა გეხუროს  
იმ შენის დიაცისაო,  
ხელთ გქონდეს ტარ-ფარტენანი,  
ჩამოჯდე კერის პირსაო.

გმირები შემკობილია საგმირო პოეზიის ტრადიციული

მრავალი ეპითეტით: კლდის ვეფხვი, ქაუხის \* ჯიხვი, ლალი არწივი, მიმინო, ქვის გალავანი და სხვა: ეს მრავალფეროვანი ეპითეტები თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირებისადმი ხალხის დიდი სიყვარულის გამომხატველია.

\*

აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილია სახელი მიხა ჭუჭულაშვილისა, რომელიც საგმირო საქმეებით არ ჩამოუვარდება არსენა ოძელაშვილს. ქიზიყელი მიხა ჭუჭულაშვილი ვერ შეურიგდა 1905 წლის რევოლუციის შემდეგ რეაქციის წლებში მეფის მოხელეთა აღვირახსნილობას და კულაკების თვითნებობას. მან დატოვა მშობლიური კერა და აშკარა, შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა უსამართლობას. მიხა ჭუჭულაშვილიც, მსგავსად სხვა მებრძოლი გმირებისა, ლალატით არა ერთხელ ჩაუვარდა მტერს ხელში, მაგრამ თავი დააღწია განსაცდელს. ბოლოს იგი დაიღუპა მეფის მოხელეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მიხა ჭუჭულაშვილზე ლექსებისა და გადმოცემების მთელი ციკლია შექმნილი. საყურადღებოა ვრცელი პოემა, რომელშიაც ხალხს გადმოუცია მიხას შეუპოვარი ბრძოლა შინაური კლასობრივი მტრებისა და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ პოემას დღესაც ჩონგურზე დამღერის ხალხი. პოემაში სიყვარულითა და პატივისცემით არიან მოხსენებული მიხას თანამებრძოლები და მასთან ერთად უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული გმირები—პაგია ბეგიაშვილი და ლადო ოზაშვილი. ქიზიყელი გმირები, არსენა ოძელაშვილის მსგავსად, ანგარიშს უსწორებდნენ მშრომელი ხალხის მჩაგვრელებს. ისინი შიშის ზარსა სცემდნენ მათ მღვერებს—ბოქაულებსა და ჩაფრებს. ხალხის გადმოცემით ყარაღაჩის წყაროსთან მარტოხელა მიხამ განაიარაღა მისი მღვეარი ბოქაული და ქვეითად გააყოლა შიშით ზარდაცემულ ჩაფრებს. მიხას გმირობის ეპიზოდი პოემის ერთი ძლიერი ადგილთა-

განია. ბოქაულისა და ჩაფრების ლაჩრობას ასე გადმოგვცემს ხალხი:

ათი-თორმეტი ჩაფარი  
ყველა შიშისგან მთვრალია,  
ეგრე უჭირავთ თოფები,  
როგორც მეთევზეს თარია.

მიხა ჭუჭულაშვილი ებრძოდა საქართველოში მოთარეშე უცხო ტომებსაც. ხალხი უდიდესი მადლობის გრძნობით გადმოგვცემს მეფის საპყრობილედან გამოპარულ მიხას ბრძოლას მძარცველ ლეკებთან:

ქუმბათის ბოლოს გავიდა,  
კოტახანს შეუსვენია,  
გახედა, გზაზე მოდიან  
ქურდები დაღესტნელია,  
მოუდით მოპარულები,  
ცხვარ-ძროხა საქონელია.  
გადუდგა მიხა წინადა:  
— დრო აღარ არის თქვენია,  
ორთავეს ორი ესროლა,  
ორნივე გახადა მკვდარია,  
ერთი ისე გაეპარა,  
ველარ მოასწრო თვალია.  
აჰყარა იარაღები,  
ლეში ჩაყარა ხრამშია,  
მოაბრუნა საქონელი,  
უკლებელია თვალშია.

ყაჩაღად გავარდნილი მიხას დაჭერის მიზნით ქიზიყში ეგზეკუცია ჩააყენეს. ეგზეკუცია განუკითხავად არბევდა ქიზიყის მოსახლეობას. გმირმა ვერ აიტანა ხალხის ტანჯვა,—იგი ლადოსთან და პაგიასთან ერთად პირისპირ შეხვდა პოლიციას. ჯალათებმა ჯერ პაგია მოკლეს. საბედისწერო წუთებში მიხამ



მტრის ბანაკიდან ბევრი გამოასალმა წუთისოფელს. ბოლოს ალყაშემორტყმული სახელოვანი ვაჟკაცი ხელში არ ჩაუვარდა გააფთრებულ მტრებს და საკუთარი იარაღით მოიკლა თავი. ამავე ბრძოლაში მოკლეს ლადოც: მიხასა და მისი თანამებრძოლების სიკვდილის ამბავს მღელვარებით გადმოგვცემენ მოლექსეები.

მიხა ქუჭულაშვილზე შექმნილ ნაწარმოებებში ხალხი უდიდესი მძულვარებითა და ზიზლით იგონებს სოციალური ბოროტებითა და თვითმპყრობელური რეჟიმით დამახინჯებულ პირებს—ბოქაულებს, ჩაფრებს, სოფლის მამასახლისს—წყალობა ოდოქაშვილს, კულაკს—გიორგი მქედლიშვილსა და სხვებს. ამ ლექსებში რეალისტურად არის აღწერილი ის რთული სოციალ-პოლიტიკური ვითარება, რომელიც 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გამძვინვარებული ბნელი რეაქციის წლებში იყო საქართველოში. მიხა ქუჭულაშვილის ციკლის ნაწარმოებები და კერძოდ დასახელებული პოემა მეტად საინტერესოა თავისი ფორმითაც. პოემის მდიდარი მხატვრული სახეები მისი იდეური მხარითაა ნაკარნახევი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოემის შესავალი; აქ გრძნობიერად არის გადმოცემული ხალხის გულწრფელი სურვილი თავდადებული გმირის სიცოცხლის გახანგრძლივებისა.

სახალხო გმირთა შესახებ შექმნილ ბალადებსა და ლექსებში პოეტური სახეების—შედარებებისა და სიმბოლოების სიმდიდრით გამოირჩევა ლექსი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირის აფრასიონ მერკვილადის შესახებ. ეს ლექსი ქართული საგმირო პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშის „ვაჟკაცსა თავის სიკვდილი გული მძინარე ეგონა“—თავისებურ გაახლეპას წარმოადგენს. გმირის კულტის საფუძველზე შექმნილი გოდება შავბნელი რეაქციის წლებში, ხალხმა გადაამუშავა და დაუკავშირა უხეში ძალის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული გმირის სახელს. ლექსი აფრასიონ მერკვი-

ლადის შესახებ ხალხური შემოქმედების დინამიურობის ნათელი მაგალითია. ნაციონალური ჩაგვრისა და გამწვავებული კლასთა ბრძოლის საფუძველზე საგმირო ეპოსის ძველი მოტივი ამ ლექსში ახლებურადაა გააზრებული — იგი მოხდენილად ასახავს რევოლუციურ განწყობილებას.

სახალხო გმირთა შესახებ შექმნილი სათავეგადასავლო ხასიათის პოეზიის ნიმუშები მეტწილად ბალადებია. უმეტეს შემთხვევაში მათ დაბოლოებას გმირის სიკვდილის აღწერა წარმოადგენს. ეს ბუნებრივიცაა. უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები უპირისპირდებოდნენ რიცხობრივად უპირატეს უხეშ ძალებს. ისინი იღუპებოდნენ უთანასწორო ბრძოლებში, მაგრამ მათი სამართლიანი საქმე შთააგონებდა მომავალ თაობებს, აღვივებდა იმ ცეცხლს, რამაც ჩვენს ქვეყანაში დათრგუნა ბოროტება და მშრომელებს თავისუფლება მოუპოვა. ამიტომაც ლექსები სახალხო გმირების შესახებ დიდხანს შეინარჩუნებენ პოლიტიკურ-აღმზრდელით მნიშვნელობას.

ქს. სისკარულიძე

ეს კრებული ქართველ სახალხო გმირთა შესახებ არსებულ ნაწარმოებთა გამოცემის პირველ ცდას წარმოადგენს. წიგნში მხოლოდ პოეზიის რამდენიმე ნიმუშია შეტანილი და განხილული. სამწუხაროდ, კრებულში არ არის წარმოდგენილი მასალები წარსულში მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი ისეთი მებრძოლი გმირების შესახებ, როგორც იყვნენ: უტუ მიქავა, მართალი თოდუა, ბულარა მამალაძე, ნიკოლოზ მეხუზლა, ვიცბილი და მაცბილი და სხვები. ზოგ შემთხვევაში ჩვენთვის ცნობილი იყო ამ გმირთა შესახებ არსებული მხოლოდ პროზაული ტექსტები ან ენობრივად და მხატვრულად გაუმართავი ლექსები; ზოგ შემთხვევაში კი ხელთ არა გვქონდა მეგრული და სვანური ტექსტების კარგი თარგმანები.


კრებულში წარმოდგენილ პოეზიის ნიმუშებში ასახული სახალხო გმირების მოქმედება სხვადასხვა ხანას ეკუთვნის—მე-16—17 საუკუნეებიდან მოყოლებული დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე.

ქ. ს.





ლექსები  
ქართულ  
სახალხო  
გმირებზე





## ზეზვა გაფრინდაული—ფუნჯაიფვილი

### ა) ზ ე ზ ვ ა ს

მთებს იქით ილესებოდა  
ომში ნაცადი მახვილი,  
ბახტრიონს აზანზარებდა  
შიშის დამცემი ძახილი.  
შეაყრეოლებდა თათრებსა  
შენი ელვარე ხმალია,  
ალენის მინდორზე მფრინავი —  
შენი ლურჯაი მალია,  
შორს რომ ისმოდა თქარუნი,  
შუქს რომ მოჰფენდა ნალია;  
ეგ შენი გული მედგარი —  
ბუდედ რომ ჰქონდა რვალია.

შენ სისხლით მორწყულ მიწაზე  
შენი შვილები ხარობენ,  
არ ეშინიათ მტრებისა,  
გულდამშვიდებით ბარობენ.\*  
არ ეშინიათ მტრებისა,  
აქვთ ბედნიერი ცხოვრება,  
შენი ღვაწლი და ამაგი  
სულ მუდამ ემახსოვრებათ.

---

\* მთიდან ბარში ჩადიან.

## ბ) გაფრინდაულის აზვადი

ცხენს გაბანს გაფრინდაული,  
გაზრდილსა თივა-ქერზედა,  
ძუა-ფაფარსა დავარცხნის,  
ნალებს დააკრავს ფეხზედა.  
სალარს შეკაზმავს ზეზვაი,  
აბჯარს აისხამს ტანზედა.  
— საით მიდიხარ, ზეზვაო,  
ცხენი დაგიბამს კარზედა? —  
— ფშავ-ხევსურეთში საქმე მაქვს,  
ჯავრი ვიყარო მტერზედა.  
უნდა შევეყარო ჯარები  
თათრების მუქარაზედა.  
აბა, ვიაროთ, სალარო,  
ფშავ-ხევსურეთის გზაზედა. —  
ცხენზე შეჯდება ზეზვაი,  
ჩაჩქანი ხურავს თავზედა.  
გულუხიძენიც გამოყენენ,  
ნატარნი ფშავის თემზედა.  
გადაივლიან ვაჟაკანი  
ბორბალოს მაღალ მთაზედა.  
ლაშარს მივიდნენ თუშები,  
ხალხი დგას ხატის კარზედა.  
შემოეხვივნენ ფშავლები,  
თუშებს დაკოცნეს პირზედა,  
სუფრაზე მიიპატივეს,



შავი ლუდების სმაზედა.  
 გურგენმა ჭინჭარაულმა  
 ზეზვას ხელ დაჰკრა მხარზედა:  
 — დაბერებულხარ, თან თეთრი  
 გამოგრეგია თმაზედა.—  
 დასხდნენ და პური შექამეს,  
 ლაშარ გიორგის კარზედა. \*  
 გურგენი ჭინჭარაული  
 ზეზვამ გაიხმო განზედა.  
 — ძმანი ხართ, უნდა მოგვემხროთ,  
 ჯავრის საყრელად მტერზედა,  
 თათრის ჯარი დგას კახეთში,  
 ხალხი ვერ გადის ველზედა.  
 აქლემის ქარავენები სძოვს  
 ჩვენი ცხერის საძოვრებზედა.  
 ფიცი დაუდეს ფშავლებმა,  
 ხელი დაიკრეს ხმალზედა.  
 — ჩვენაც კაცნი ვართ, ზეზვაო,  
 ქუდები გვხურავს თავზედა.  
 ჩვენც სისხლი გვმართებს და-ძმების,  
 ხმალნი ვალეწეთ თავზედა.  
 თათრებს კახეთში რა უნდათ,  
 ქართველთა მიწა-წყალზედა.  
 ხევსურნიც შეიყრებიან  
 არლოტის \*\* ზევით მთაზედა;  
 ჩვენ მაცნე გამოგვიგზავნე,  
 თქვენ რომ დადგებით გზაზედა.  
 საით მოვიდეთ, ზეზვაო,  
 რას იტყვი, რომელ გზაზედა.

\* სალოცავი ადგილი იყო წარსულში.

\*\* სოფელია ხევსურეთში, თუშეთის საზღვარზე.

— ფშავ-ხევსურნ ერთად წამოდიოთ  
პანკისის ხეობაზედა.  
თუშნი ნაქერალს გადმოვალთ,  
თქვენ გამოგყვებით კვალზედა.  
ჩვენ შევიყრებით ნაქერალს,  
დარაჯი გვედგეს განზედა.  
იქ ლაპარაკი გვექნება  
თათრებთან ომობაზედა. —  
გამოესალმნენ ერთურთსა,  
ზეზეაიცი შეჯდა ცხენზედა.  
ლუხუმმა დროშას შემოჰკრა,  
მდგომმა დარბაზის კარზედა.  
— გწყალობდეთ ლაშარის ჯგარი,  
ხელ მოგიმართოთ მტერზედა.

ზ) კახეთში ფუნჩაიშვილი  
 აფხავებს \* შუბის წვერსაო,  
 თბილი წყლით ფაფარს გადაჰბანს,  
 ლიტრა ქერს აჰმევს ცხენსაო.  
 ოსმალში ერთი თათარი  
 ენას აუბნებს ძნელსაო:  
 -- ბახტრიონს გაეკრი ვენახსა,  
 შიგ დავააახლებ ელსაო.  
 არც თუშებს შევეპუები  
 და არც ზეზვიის ცხენსაო.  
 ეს რომ გაიგო ზეზვიამა,  
 ცხენს მიუმატებს ქერსაო:  
 — ჩქარა გასუქდი, ლურჯაო,  
 გავაზე უსვამს ხელსაო;  
 დავემწყემსები სულთანსა,  
 როგორც მიმინო მწყერსაო,  
 თოფს დავკრავ, ხმალსაც შემოეკრავ,  
 დღეს დავაყენებ ცხელსაო,  
 თავსაც იქ დავდებ ჰალარას,  
 ადგილს არ მივცემ ჩვენსაო.

\* \* \*

ლ) ხმალს ზვერავს გაფრინდაული,  
 თორმეტი მოეკალ ამითა,

---

\* ულესავს წვერს.

დიდი ალვანის მინდორი  
აგაესე თათრის ძვალითა.

\* \* \*

ბიჭი ვარ გოგოლაური,  
რას მიცქერ ტალავერზედა?  
მოძალეს ძალას მივაყრი,  
მტერს ჩაეუდგები კვალზედა.  
ფეხს დავკრავ, გადავფრინდები  
ბახტრიონ გალავანზედა,  
მივიტან ჩვენსა ალამსა,  
დავარჭობ ციხის კარზედა.

## მამუკა ქალუნდაური

გადმოდგა სადღეებელაზე \*  
ქუჩუმიანი ფარია, \*\*  
კითხულობს ქალუნდაური:  
— სად ომობს ჩემი გვარია?  
— ბეგენგორს, ქალუნდაურო,  
ომს ება შენი გვარია...  
ჩაყვა მარტოკა ლაშქართა,  
ხოცა ზურაბის ჯარია.  
მეთორმეტეს რომ შემოჰკრა,  
დადგა, ჩააგო ხმალია.  
ომიდან მობრუნებულმა  
სამნად \*\*\* ჩაყუნდა ქვანია,  
ცოდვა მოკიდოს ხმლისანი,  
ვინც არ დალოცოს სამია.

---

\* სადღეებელა—ადგილის სახელია ხევსურეთში, შატილთან ახლოს.

\*\* ქუჩუმიანი ფარი—ჯინჯილებითა და მძივებით მორთული ფარი. ხევსურული თქმულებით ამგვარად მორთულ ფარს ატარებდა ზურაბ ერისთავის ლაშქარი.

\*\*\* ნიშნად.

## ელუმი თულუმივილი

ელუმო თულუმიშვილო,  
ვეფხვი ხარ, ველის კანჯარი!..  
შენ მოჰკალ ერისთვის შვილი,  
ზურაბს შენ დაეც ხანჯალი!  
გაგზავნეთ მახარობელი,  
ფშავ-ხევსურეთში ჩათარი.  
ფშავ-ხევსურეთის ქალ-რძალმა  
ძილ დაიძინოს მაგარი...  
ზურაბის სიკედილს ამბობენ, —  
აღარ მოგვივა ლაშქარი!  
მიგრი \* მოხვიეთ ბატონსა,  
ზურაბის წამოსასხამი,  
შეარტყით ჩოლოყაშვილსა  
ზურაბის ქამარ-ხანჯალი.  
ზურაბმ ქირთ-გაცოფებულმა  
ხმალსა დაჰგლიჯნა ვადანი;  
ვაი თქვენს ზურაბს, ფშაველებო,  
ძაფ დაახვია მაგარი. \*\*

---

\* ბეწვის წამოსასხამი.

\*\* ძველი ჩვეულების თანახმად, მშვიდობიანობის ნიშნად ხმალს ქარ-ქაშზე მიაკრავდნენ ძაფით.

## ქალლიკა ხიმიკაური

ქალლიკაე, ხიმიკაურო,  
ლიქოკის \* ზღურბლო, ზღუდეო,  
ბეერს ააგლიჯე კალდიმი, \*\*  
თეძოზე დაიკიდეო.  
არ დაგრჩა გაუტეხელი, \*\*\*  
მტერს ვისაც აეკიდეო.

---

\* ადგილია ხევსურეთში, ბარისახოსთან ახლოს.

\*\* ხმალი.

\*\*\* დაუმარცხებელი.

## გმირი დელაბერი ქრისტინე

ხუნძახმა სთქვა: სარდალი ვარ,  
თუ რომ ჩემი გაიგება,  
შვიდი დღე და შვიდი ღამე  
დაჯდა, წვერი შეიღება;  
თუ გორის ციხე ავიღეთ,  
ქართლი ჩვენი შეიქნება.  
მჰადისჯვარს რომ მივატანეთ,  
საქმე მაშინ გაჭირდება.  
იქ რომ ბებერმა საქმე ჰქნა,  
ის არ უქნია სხვასაო,  
ორი ბელადი მოგვიკლა,  
მთელ შეყრილ დაღესტანსაო;  
მესამე რომ გამოვიდა,  
დახე, იმ ჭკუა მდგარსაო,  
ესროლა თავის მათარი, \*  
მოარტყა შუა ძვალსაო.

---

\* თოფი.



## მამია წყნეთელი—მათე ყაჩაღი

### ა) მამიას თავგადასავალი

ქართლიდან გამოვეპარე  
ბატონს პატარა ქალიო,  
თან წამოვიღე საგზალადა  
შიში და ცრემლის ღვარიო.  
თრიალეთის ხევ-ღნარებში  
ერთხანს ვინახე თავიო,  
მერე სომხეთში წავედი,  
შიშისგან ვიხსენ თავიო.  
ომი მოგვიხდა თათრებთან,  
სულ გაწყდნენ წყნეთლებიო,  
ალარა დარჩნენ გმირები,  
ატირდნენ კლდე და მთებიო.  
მეც ტყვეთა მიჰყრეს სპარსეთში,  
შემბოჰეს, ვიხსენ თავიო,  
მაგრამ ერევნის ბოლოსა,  
ვაი, დავკარგე თავიო.

### ბ) მრეკლისა და მამიას უხვციდრა

შავთვალა, ტანით ბრგე გოგომ  
ჩაიცვა ვაჟკაცურადა,  
თოფ-იარაღი აისხა,  
იქცევა მამაცურადა,

პატარა კახსა ეახლა,  
რა კარგი სანახავია!..  
ხირიმი შეატრიალა,  
დაბლა დაუკრა თავია...  
— ვინა ხარ, ძმაო, საიდან,  
რომელი გვარის კაცია?—  
ჰკითხა ბატონმა — რა იცის,  
რომ ქალს კაცურად აცვია.  
— მათე ვარ, შენი ჭირიმე!  
მოვდივარ შორის შორადა,  
ჯავრი მჭირს ავკაცებისა,  
ცეცხლი მწვავეს ერთი ორადა.  
მინდა, რომ გეყმო ერთგულად,  
წელზე ვატარო ხმალია,  
შენის ბრძანებით დავიცვა  
ქერიც-ოხერ, ობოლ-ქალია.  
მეფესაც მოსწონებია  
სიტყვა-პასუხი მათესი,  
თავის მხლებელად დანიშნა  
გმირი-სიკეთის დამთესი.

### ბ) მათას დატყვევება და სიკვდილი

მეფე ერეკლეს დროშია  
ამბავი ესე მომხდარა:  
სპარსი დაეცა ქართველსა,  
დაჰკრეს ბუკი და ნალარა;  
ერევნის ახლოს მათა  
ტყვედ გაუყენეს გზას სპარსეთს,  
გულით მაგარი დიაცი  
არ შეუშინდა განსაცდელს;  
გზაში დახოცა მცველები  
და მიაღწია საწაღელს...

გახარებული გამორბის,  
ესწრაფვის მშობელ მხარესა,  
უნდა, რომ მალე ეწვიოს  
საყვარელ არე-მარესა,  
მაგრამ უმუხთლა საბრალოს  
ტიალმა წუთისოფელმა,  
ვერ მიაღწია სახლამდე  
უბედურების მნახველმა.  
გზაში მოუსწრო სიკვდილმა,  
ტანჯული სული დალია,  
მოუკვდათ ბეჩაე გლეხებსა  
მათი დამცველი მათა.  
ტრიალ მინდორზე ობლადა  
მაია ასაფლავია,  
ციდან მის საფლავს ანათებს  
დღისით მზე, ღამით მთვარეა.

\* \* \*

დ) მათე-მაიას ქირიმე,  
იყავ ფალავან-გმირია,  
უზნეო ბატონებისა  
სიკვდიმდე დიდი ქირია.

\* \* \*

ე) შარაზე იწვა უძრავად  
ხანჯლით დაქრილი ქალია.  
მოდმეთა ნახვას ნატრობდა  
თბილელი გმირი მაია...  
ბედმა უმტყუნა საბრალოს,  
არ აუსრულდა წადილი,  
ერევნის ბოლოს დიაცსა  
მოხადეს ლეჩაქ-მანდილი.

## თამრო ვაშლოვანელი

ა) ლექები სულ გავაქციეთ  
მთვარიანი ღამითაო,  
უკან თამრო გამოუდგა  
ქანგიანი ხმალითაო.

\* \* \*

ბ) ვაშლოვნელებს ვილა მისცემს  
საყვარელს შატსა ქალსაო,  
მეომარსა, ფალავანსა,  
გმირ ვაჟკაცების ცალსაო.

\* \* \*

გ) თამროსა ვაშლოვანელსა  
ვაშლი უდგია თავსაო,  
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს  
მისი საფლავის გარსაო.  
დამტირებელი არა ჰყავს,  
ნეტარება მის გვარსაო.

\* \* \*

დ) თრიალეთს დიდსა საყდარში  
თამარი ასაფლავია,  
მისებრ ერთგული, მამაცი  
ჩვენ არ გვეოლია ქალია.

## თინა წავკისელი ერაკლე გეგუას

შენ გენაცვალე, მეფეო,  
შენი ჭირიმე, შენიო,  
გიორგი არ მომიშოი,  
სულ შეაჯერე თემიო,  
მეც მალე დაგეხმარები,  
თუ რომ გამიხსნეს ხელიო.

## გელა ნათელაშვილი

ახლა ქება ჩამოვთვალთ  
ქართველთა გმირობისაო,  
არაგვზე მტერი აშალეს,  
არაგვის ფშების\* პირსაო;  
ღვთის მეტმა არავინ იცის,  
საით უზამენ პირსაო;  
გელამან გზასა გახედა,  
მტერი თავს დაგვესხმისაო.  
ეს ბაზალელი გიორგი  
ნაჭერი არის კლდისაო,  
მოჯამაგირეს არიგებს,  
როგორც რომ მაძა შეილსაო.  
მოჯამაგირემ შეჰფიცა,  
ფიცით მაღალი ღვთისაო;  
გუშინწინ ღორში ვიყავი,  
ბელადი ვნახე მტრისაო;  
დავიჩოქე და ვესროლე,  
მოვარტყი გულის პირსაო.  
— შენ, ბიჭო, მარჯვედ ვერ გიკრავს,  
ვაი შენ გიორგისაო,  
მაგ თოფის ამბავი ვიცი,  
მოხედება, დასცემს ძირსაო.

---

\* ფშა—ნაკადული.

გიორგის მოსვენება სურს,  
ტკბილად აპირებს ძილსაო.  
შუალამე რომ მოვიდა,  
ელვა შეიქნა ცისაო,  
ლეკები თავზე დააწვენენ  
ვერძეულ გიორგისაო.  
გიორგიმ წამოიწია,  
ლეკი ჩაიგდო ძირსაო,  
ურჯულოს ხანჯალი დასცა,  
შაშვივით აღებს პირსაო.  
პატარა ბიჭი გიორგი  
ცხარე ცრემლითა სტირსაო,  
ბერუა ხანჯალსა ლესაეს,  
აღმასივითა ხდისაო!  
ბიჭო, რატომ არ მიშველი,  
თქვენი ვარ, განა სხვისაო!  
გიორგი მანგლისს ბრუნაედა,  
როგორც ბორბალი წყლისაო,  
ისე აკათა ლეკები,  
ვითა ტოტები ხისაო.  
ორი ურჯულო ბელადი  
ხევისა პირსა ზისაო,  
თოფი მთავრული უჭირავთ,  
კონდიხი იფნის ხისაო,  
გიორგიმ ხელი მოისვა,  
ბეჭებში სისხლი სდისაო.  
მანგლისს აქებენ ტაძარსა,  
ნაკეთსა ქვითკირისაო,  
შიგ ბევრი ლეკი აწყვია,  
ნახოცი გიორგისაო.  
ახლოს კაცი ვერ მიუვა,  
კბილებში მატლი სდისაო.

ბოლოს მოგვიკლეს გიორგი  
ლაშქარს მამულისთვისაო,  
ლექსად გამოვთქვი მე ქება  
ქართველთა გმირობისაო.



## არსენას ლექსი

შაირ-სიტყვითა მესტვირემ ღმერთი მაღალი ახსენა:  
„ღმერთმა მოგცეს გამარჯვება, ოძელაშვილო არსენა!“  
ქეიფი იმას უყვარდა, გზებზე სუფრის გადაფენა.  
შვიდს წელიწადს ტყედ იარა, მთა და ბარი შეაჯერა,  
რომ შეიქნა თექვსმეტი წლის, ულვაშები დაიმშვენა,  
შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე გააქენ-გამოაქენა.  
ზაალი ბარათაშვილი ძალიან გაგვინაწყენა.  
ბატონს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენას მოეწონება:  
„გოგო მე მომე, ბატონო, შენ კი არა წაგიხდება!“  
რა რომ შინიდან გავიდა, ბარათაშვილს გადემტერა.  
„ეს არსენა რა გაგვიხდა, რა არის ამისთანაო?  
ბიჭო არსენავ, რა მიყავ, ყმა იყავ მაგისთანაო!“  
„მოგიტან თორმეტ თუმანსა, მოგითვლი ჩქარა-ჩქარაო.“  
ეს რომ ზაალმა გაიგო, წარბი არ შეიხარაო:  
„თორმეტი აღარ მიგდია ბიჭები შენისთანაო!“  
„აბა თუ თორმეტიცა გყავს, ადექ და მომყევ თანაო!“  
ეს რომ ზაალმა გაიგო, ქოში უკუღმა ჰყარაო.  
კარიდან ველარ შეასწრო, თანჯრიდან გადიპარაო.  
მოსტაცა ბატონს მოახლე, ახალციხეს გადუყენა,  
ჩითის კაბები გახადა, სხვა ფარჩები შეუყერა,  
იმის ქვემოთ შეიდიში კოჭებამდე დაუმშვენა.  
მობრუნდა ჩვენი არსენა, ცოლ-შვილით გააცამტყერა.  
ეს რომ გაიგო ზაალმა, ორთავ თვალით შექმნა ცრემლა.  
დაჯდა ის ჩვენი ზაალი საჩქაროდ წიგნი დაწერა.

ქალაქში გამოაცხადა, გუბერნატორს მოახსენა:

„გამიფარდა ერთი ბიჭი, დამაქცია, დამანელა!  
ერთი კარგი გოგო მყავდა, წამართვა და გადმიყენი;  
წამახდინა არსენამა,—თუ რასმე მიშველით თქვენა!  
თუ თქვენ იმას ვერ დაიჭერთ, ძნელია ჩემი დარჩენა!“  
ათი-თორმეტი ყაზახი გასწევს თრიალეთისკენა.

კოდაზე რომ შემოვიდნენ, წინ იქ დაუხვდათ არსენა:

„დრასტი ზნაკომ, გაგიმარჯოს, კუდა იდიოშ, საითკენა?!“  
„ჩვენ შენი ჯავრი არა გვაქვს, მივდივართ მარაბდისკენა,  
ერთი ბიჭი გამოგვექცა, სახელად ჰქვია არსენა, —  
თუ ვინმეს კი გაგეგონოს, გვინდა იმისი დაჭერა.“

ეს რომ არსენამ გაიგო, ჩაიცინა ნელა-ნელა,  
ნაბადი გვერდზე მოიგდო, თოფი ფეხზე შეაყენა;—  
ჯერ რომ თოფი დაახალა, მერე ხმალი შეაშველა,  
ათი-თორმეტი ყაზახი სულ ცხვარივით გადმოდენა,  
თელეთის ბოლომდე მიჰყვა, სომხეთში არ გააჩერა;  
იმ საწყალსა ყაზახებსა ზურგზე ბოლი ააყენა,

„ნასკაკოიც“ მიაძახა,—თავად გახლავარ არსენა!  
სულ უკან იხედებოდნენ, აღარ მოგვდევდეს არსენა.

ქალაქში რომ ჩამოვიდნენ, თავის უფროსს მოახსენეს:

„უზარბაზნოდ არ იქნება ჩვენი არსენას დაჭერა,  
ან არის დევი, ლომგმირი, ან არის რკინის მკვნიტელა,  
თუ ჩვენგან არ დაიჯერებ, ნეტავი მარტო გაჩვენა!

რომელსაც ხელი მოგვკიდა, ფეხზე აღარ დაგვაყენა,  
ექვსსა თოფები წაგეართვა, სულ მიწებით დაგვიტენა.“

ეს რომ ზაალმა გაიგო, ორთავ თვალთ შეჰქმნა ცრემლა:

„ნეტავი კაცი მაჩვენა, იმ არსენას დამჭერელა,  
ოქრო და ვერცხლი ვაჩუქო და ფულები ამოტელა!“

აღმასის წყალზე ურიებს აწყევლინა ბედისწერა,  
გამოართვა ხახამს ადლი, ოთის კისერში ჩაადებსა:

„თუ კარგ ადათს არ დაიჭერთ, გაგწყდომიათ ხენა და თესვა,  
ძალად გაქმევთ ღორის ხორცსა, კეფაზე დაგასხამთ წვენსა,

თუ ამას არ დამჯერდებით, ქართულად დაგპარსავეთ წვერსა-  
 ჩამოხვიდოდით ქალაქში, ყიდულობდით ფარჩას კრელსა,  
 ჩამოხვიდოდით სოფლებში, ლამაზად კაზმავდით ცხენსა;  
 ქვრივს და საწყალს გვიტყუებდით, ნამეტნავად პატარძლებსა.“  
 როცა მათი ადლი ნახა, არსენას არ დაუჯდესა,  
 გატეხა და გადააგდო: „ფუ, გამჭედი გაუწყდესა!“  
 შინდის ჯოხი გამოუქრა, რომელიც რომ გრძელი თქვესა;  
 შვიდი მტკაელით გაუზომა, მისხალი არ დააკლდესა:  
 „თუ ამითი არ გაპყიდით, ვაი დედითქვენიც ღმერთსა!  
 საცა რომ შემოგეყრებით, სუყველას გამოგქრით ყელსა!“  
 იმ საწყალმა ურიებმა სულ კანკალი დაიწყესა:  
 „ჩვენ რომ ამითი გავყიდოთ, რალა დახლი დაგვიდგესა?  
 ისევ ეს ჩვენი ფართალი იმ ჩვენ დუქნებში დალპესა,  
 არსენა რომ დაიბადა, ჩვენი საქმენი წახდესა!“  
 „საახალუხე მომყიდეთ, იმ თქვენი დედ-მამის მზესა!“  
 არა ღირდა ორ მანეთად, ერთ თუმნად დაუფასესა.  
 მაშინ ჩვენი არსენა, თითო მუშტებს წაადებსა,  
 დახედე, საახალუხეს სულ ტყვილადაც წაართმევსა.  
 კიდევ იმას ეუბნება: „თქვენ ჯიბეში ფული ძევსა;  
 ურიავე, ფულები მომე, ვიცი საგზლად მომინდესა.“  
 ი საწყალი ურიები დაეკითხნენ ერთმანეთსა:  
 „ვაჟო, ე ფულიც ვაჩუქოთ, ეგებ ცოცხალს გაგვიშვებსა“-  
 ამოიღეს და გადუგდეს თხუთმეტი თუმნის ოდენა,  
 ხუთი თუმანი აიღო, ათი უკან გაადვენა.  
 „ოლონდ დაგვეხსენ, არსენა, გამოვაცხოზოთ სეფისკვერსა,  
 ქართულად დავინათლებით, კარგად დავიპარსავეთ წვერსა,  
 ძალათი ვჭამთ ღორის ხორცსა, ზედ თავზე დავისხამთ წვერსა!“  
 გზას ვაჭარი მოდიოდა, არხეინად ნელა-ნელა,  
 არსენა რომ დაინახა, თავქვე ცხენი დააქენა,  
 წინიდან წამოუარა: „საით მიბრძანდები თქვენა?  
 ეგ ქულაჯა გაიხადეთ, ეს თეჟა ჩაიცვით თქვენა“.  
 ის ქულაჯა წამოისხა და ბეჭები დაიმშვენა,

ცხენი გრილოში დააბა, თავად იქვე მოისვენა.  
 ბრძანება შემოეთვა ლათ თბილისიდან უფროსებსა:  
 „ერთი კაცი აგრე ჩადის, ათასი რას შეიძლება?  
 ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიჭერსა“.  
 კარახტინები \* შეუჯრეს, ლეკში არსად გადვიდესა.  
 „თუ რომ ის ლეკში გადვიდა, ყაჩაღობას დაიწყებსა.  
 ყაჩაღობას ვინ დაეძებს, თბილის-ქალაქს წაგვიხდენსა!“  
 გაუწყრა მაღალი ღმერთი ფარსადან ბოდბისხვევლსა;  
 ნათლიმამად მოიკიდა, მაგრამ ის უღალატებსა.  
 როცა შირაქში დაცხება, თრიალეთს აასხამს ცხვრებსა,  
 თაფარავანის ტბაზედა წინ არსენა დაუხვდესა:  
 „არსენავ, გეთაყვანები, რატომ არ მოდიხარ ჩვენსა?“  
 „მიღალატებ, ნათლიმამავ, მიტომ არ მოვდივარ თქვენსა.“  
 „არსენს როგორ გიღალატებ, სამი შეილის მომნათელელსა,  
 ჩემის მირონის მიმღებსა?!“  
 ძირს დედამიწას ჰფიცავდა და მაღლა ზეცაში ღმერთსა.  
 მაშინა თქვა არსენამა: „მირონს როგორ დამიქცევსა!“  
 მოიტყუილეს არსენა, ტკბილი ღვინით დაათვრესა;  
 შემწვარი და მოხრაკული წინ ტაბაკით მიართვესა,  
 დამთვრალსა და გაღეშილსა ტკბილი ძილი მოუნდესა.  
 იარალი აიყარა, ნათლიდელას აბარებსა:  
 „ხვალ თუ მშვიდობით გათენდა, აღრიანად დამჭირდესა“.  
 იალუჩი \*\* და ბალიში საჩქაროზე მიართვესა,  
 ზედ ტყავები წააფარეს,—არსენს არ შეგვიცივდესა.  
 ამ მამაძალდ ფარსადანსა გუნებაში რა უძევსა?  
 უშალამე რომ შეიქნა, თავის ამქარში გასწევსა,  
 ათი-თორმეტი მეცხვარე თავს მძინარეს დააწევსა.  
 არსენამ წამოიწია: „რა ბუზები მასხედს ესა?“  
 ათსა ეგრე წამოუდგა, სულ მუშტით დაამტვრევს ყბებსა,

\* გზები შეუჯრეს, გადაუღობეს.

\*\* ნაბადი.

მეთერთმეტე, მეთორმეტე არსენას უკრავდნენ ხელსა,  
 ისე მაგრა გაუჭირეს, ფრჩხილებში სისხლი გასწვეთსა.  
 „ნათლიმამავ, ნუ მლალატობ, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა  
 ათასწილად სიკვდილი სჯობს იმათ ხელში განსაცდელსა!  
 მე მლალატობ, ნათლიმამავ, იქ რას ეტყვი მაღალ ღმერთსა?  
 ჩემს მაგიერ სამართალსა ღვთისმშობელი გაგიჩენსა!  
 ნუ მლალატობ, ფარსადანო, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა,  
 ორას თუმანს აქ გაჩუქებ, სამას თუმანს გომარეთსა“.  
 ფარსადანს ასე ეგონა, ჩინს მომცემენ, ტემლაკებსა.  
 ეს არსენა ცხენზე შესვეს, ძირს ფეხები გაუკრესა;  
 ბიჭი მარდია არსენა, გზაზე არსად გადმოხტესა.  
 წამოიყვანეს ქალაქში, თვალიდანა ღვრიდა ცრემლსა,  
 მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივით დასდევსა-  
 იმერლები იძახიან: „კი, კი, კი-სა და ქვე-ქვესა!“  
 სომხები გაიძახიან: „ლავე ბიჭი არი ესა!“  
 ოსები კი იძახოდნენ: „ხორზუ, ხორზუ არი ესა!“  
 რუსები — „ოჩენ ხაროში, ეი ბოლუ მაღადეცა!“  
 ბებრები გაიძახიან: „ნეტავი შენს მეუღლესა!  
 ნეტავი იმის სოფელსა, ვისაც გადაუხვევ ხელსა!“  
 მაგარი ბორკილი მიაქვს, თორემ წვრილებს დაამტკრევსა.  
 ჯილის ტოლა თვალები აქვს, მტერი რაღას დააკლებსა.  
 მოუბრუნდება არსენა, კამეჩივით შეუბღვერსა:  
 „რას მიპირობ, ნათლიმამავ, თუ წაუველ ამათ ხელსა?  
 თრიალეთში ცხვარს გაგიწყვეტ, მინდორში დაგიწვავ ძნებსა,  
 მირონსაც აღარ დავეძებ, ღორივით გამოგჭრი ყელსა“.  
 იმ უფროსის კარებზედა არსენა მიიყვანესა,  
 უფროსი გამობრძანდება, აივნიდან გადმოსცქერსა.  
 ფარსადანს გაუჯავრდება, თავსა და პირს დაამტკრევსა:  
 „შე წუწკო და მამაძაღლო, რად იპერდი ე მაგ ტყვესა?  
 ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესა!“  
 არაფერი არ აჩუქეს ფარსადანს იმის დამპყრსა.  
 ფარსადანს ასე ეგონა: „ჯამაგირსაც გამიჩენსა“.

იმდენი მამა უცხონდა, რამდენიც იმას მისცესა.  
ერთი ოთხიოდ პანლური ამოჰკრეს და გააგდესა.  
უფროსმა ნახა არსენა, ძალიან შეიბრალოა:  
„რა კარგი ვაჟკაცი იყო, ზეზეურ ჩამომხმარაო.  
რაც შენი ამბავი მომდის, რადა ჰქენ, ჩემო არსენა?“  
„მე არც ერთი არ მიქნია, სულ ტყუილი მოგახსენა;  
მართალია, გავარდნილი, დავდიოდი მინდორ-ველად,  
მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი, მიყვარდა ლარიბის კმევა,  
დანაშაული ესა მაქვს, ნება თქვენი ასრულდესა!“  
არსენს ხელები შეუხსნეს, ფეხში ბორკილი მისცესა,  
იმ ნარიყალა ციხეში ის არსენა შეაგდესა.  
შვიდი კვირა და შვიდი დღე იმ ციხეში ამყოფესა,  
საციმბიროდ გაამწესეს, ცალი წვერი მოპარსესა.  
მაშინა თქვა არსენამა: „ვაი დედიჩემის ღმერთსა!  
მე რომ ამ ციხეში მოვკვდე, ბიჭობას ვინ დამიგდებსა?“  
იმ აფიცრებს შეეხვეწა: „იმ თქვენი დედ-მამის მზესა,  
აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ჭუჭყი მაწუხებსა,  
წამიყვანეთ აბანოში, მისი დარდი არ გამყვესა!“  
წაიყვანეს აბანოში, ყარაულები მისდევსა.  
ერთი საწყალი მანეთი არსენს ჯიბეში უდევსა,  
ამოიღებს, გადაუგდებს მიკიტანს და სირაჯებ!ა:  
„ამის არაყი დამისხით, მისვით მშიერ სალდათებსა!“  
დახედე, ის მიკიტნები მეგობრადაც გაუჩნდესა;  
სირაჯმა და მიკიტანმა თვალი უყვეს ერთმანეთსა.  
იმათ არაყი ჰგონიათ, ჩუმაღ-რომი ჩაუსხესა.  
ისე დათვრნენ სალდათები, ვერა სცნობენ ერთმანეთსა.  
აბანოს კარზე მივიდა, შევიდა და შეალებსა,  
უკან მიკიტანი მისდევს, ჯიბეში ქლიბს ჩაუდებსა.  
მაშინა თქვა არსენამა: „ჰა, დიდება მოწყალესა,  
ჩემი საქმე არის ესა!“  
აუზებთან რომ მივიდა, აიწვეს და გადახტესა.  
მიდგა ეს ჩვენი არსენა, ბორკილს ხეხვას დაუწყებსა,

ყარაულლებსა ჰგონიათ: „აგურით იხეხს ფეხებსა“.  
 აქეთ-იქით შემოხეხა, გადასწევს და დაამტკრევსა,  
 ფეშტამლები \* დაახვია, ჟღარა-ჟღურს არ დაიწყებდა,  
 გატეხა და გადააგდო: „ფუ, გამქედი გაგიქრესა!“  
 ამ ხანად მოდის უფროსი, აბანოში შევიდესა,  
 აიყარა ის შინელი, მალა აივანზე დებსა.  
 გამოვა ჩენი არსენა, შინელს გაუგდებდა მხრებსა:  
 „ენახო, როგორ მარგებს ესა?“  
 რუსულ ჩექმებს ჩაიცვამს და რუსულ „შლაპკას“ დაიდებსა.  
 კარებში რომ გამოვიდა, წინ დონჯსაც გაიგდებსა;  
 შემოხედა ყარაულებს: „ხაბარდა და სტარანეცა!“  
 სუყველა ყარაულებმა, სუყველამ გზა დაუგდესა.  
 იმათ ბატონი ეგონათ, ეს არსენა გამოძვრესა.  
 პატარა გამოიარა, თან სიცილი აუტყდესა.  
 მოედანზე გამოვიდა, მიაძახა მედროშეკსა:  
 „ფიცხლავ დროშკა აქ მომგვარე, თორემ ცხენებს დაეკრი  
 ყელსა!“  
 რომელიც კარგი დროშკაა, იმ არსენას მოართევსა,  
 დაუჯდა ბიჭი არსენა, გაუდგა საბაჟოს გზებსა.  
 კუმისის მთაზე გადადგა, ბიჭი მიუძღვის სიდედრსა.  
 არსენამ რომ დაინახა, თქვა: „დიდება მოწყალესა,  
 ჩემი საქმე არის ესა“—თავდაბლა მოახსენებსა:  
 „თუ უკაცრავად არ ვიყო, დედი, ჩამობრძანდი ცხენსა!  
 მე ტყვე ვარ გამოპარული, არც მე მატკენს ეს ფეხებსა“.  
 დახედე, იმისი სიძე ხანჯალზე დაიდებს ხელსა:  
 „გასწი იქით, გამეტალე, როგორ მოგცემ ამ ჩემ ცხენსა?  
 „ხელმწიფის გზაზე მიხვდება, ეს კაცი არ გაგიჟდესა!“  
 მაშინ ჩენი არსენაი კამეჩივით შეუბღვერსა:  
 „მოგიბრუნდები, შემოგკრავ, სულ მუშტით დაგამტკრევ  
 ყბებსა“.

\* ფეხსახვევი.

რაღა ბევრი მოგახსენო, ხელითა სცეს ერთმანეთსა,  
 არსენა ლონიერია, იმ ბიქს ქვეშ ამოიგდებსა,—  
 ორი მუშტი რომ შემოჰკრა, ყარფუზივით\* დააბნეხსა.  
 დედაკაცი ეხვეწება: „ნუ მომიკლავ ჩემ სიძესა,  
 მაგ ჩემ გამომცხვარ ნაზუქებს ღმერთი ტკბილად შეგარგებსა!“  
 ცხენიც იმას დაულოცა, თან ხურჯინსაც დაუდებსა.  
 „დედავ, დედა-შვილობასა, შენ ნუ დამიწყევლი გზებსა!“  
 ის დედაკაცი ლოცავდა: „ღმერთმა მშვიდობა მოგცესა,  
 სადაც წაბრძანდ-წამობრძანდე, არსენა, გაგიმარჯვდესა!  
 მაძლარს ართმევ, მშიერს აძლევ, ღმერთი როგორ წაგახდენსა!“  
 პატარაზე გაიარა, ხურჯინს ჩხრეკას დაუწყებსა:  
 ცალ ხურჯინში ტიკჭორაა, ცხრა ნაზუქი თავსა ძევსა;  
 ცალგნით ორი ქათამია, ინდაური თავსა ძევსა.  
 დაჯდა ეს ჩვენი არსენა, ლამაზად ქეიფსა სწევსა.  
 ერთი სომხითელი ბიჭი ქალაქისკენ გამოსწევსა,  
 ორი მანეთი აჩუქა, ორ სიტყვას დააბარებსა:  
 „ასე უთხარი ქალაქში მიკიტნებს და სირაჯებსა,  
 არსენა რომ დაიჭირეს, ქვევით მიდიოდა ღღესა!  
 მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახ-  
 დენსა?

სადაც თათარს დაინახავს,—„ბურღა ვალას“ აძახებდა;  
 სადაცა ტიტველასა ნახავს, თავის პერანგს ჩააცმევსა.“  
 ორ კვირაზე იმ ბებერსა ისევე გაუგზავნის ცხენსა;  
 ერთი თუმანი აჩუქა, რაც რომ ნალი გაუცვდესა.  
 ბებერიც ამას უთვლიდა: „ღმერთმა მშვიდობა მოგცესა!“  
 სამადლოს დუქანზე მივა, ფილიპეს ცხენს წაართმევსა:  
 „თუ უკაცრავად არ ვიყო, მაგ ცხენზე აიღებ ხელსა!  
 მე ტყვე ვარ გამოპარული და ქვები ფეხებს მატკენსა!“  
 მეჯინიბეს ეუბნება: „უნაგირი სადა ძევსა?“  
 „უნაგირი და ლაგამი ორთავე თავით უძევსა.

\* საზამთროსავით.



ცხრა მოსართავს თუ მოუქერ, თორემ ოთხ-ხუთს გაგიგლეჯსა!  
ლიტრა აღვირს თუ ამოსდებ, თორემ თავსაც წაგართმევსა!“  
„ბიჭი არსენა მოგიკვდეს, თუ ცხენი გადმომადგდებსა!“  
გადაჯდა და გამოსწია, გადმოუდგება მინდვრებსა.  
ყაზახში რომ გადავიდა, ემსახურა თათრის ბეგსა:  
„იმათ რჯულზე ვერ დავდგები, მე ხომ ვერ მოვუშვებ წვევსა“.  
იქიდანაც წამოვიდა და სომხეთში გამოსწევსა.  
ორი თვის გამოსავალი გამოირბინა ორ დღესა.  
იქ ჩავიდა ქიზიყშია, ნათლიმამას მიაგნებსა.  
ბოდბისხევში რომ შევიდა, სულ კარები ჩაკეტესა.  
ეს ფარსადანმა შეიტყო, იმისთანა თქვენსა მტერსა.  
მეტისმეტი ჯავრისაგან ადგილზე ველარ დადგესა.  
ძმებსა კაცი გაუგზავნა: „არსენა არ მომარჩენსა!“  
მაშინ ფარსადანის ძმები არსენს გადასდებენ ხელსა:  
„გვაპატივე ფარსადანი, რაც რომ უნდა გაგიხდესა!“  
„ვიდრე ფარსადანს არ მოვკლავ, გული როდი გამიძლებსა“.  
მაშინ ფარსადანის ძმებმა ოსტატობა იხმარესა:  
ერთ უადგილო ალაგას დიდი ორმო ამოჭრესა,  
ის საწყალი ფარსადანი შიგ ორმოში ჩააგდესა,  
ზედ ფიცრები წაათარეს და მიწა წააყარესა:  
„თუკი არსენამ მოგისწრო, ცოცხალს როდი გაგიშვებსა!“  
ორი დღე უყარაულა, თვალს კი ვერსად მოასწრებსა!  
მესამე დილა გათენდა, მაშინ პირჯვარს დაიწერსა;  
„თხუთმეტ წელს ყაჩაღადა ვარ, კაცის ცოდვა არ მაძევსა,  
ახლა მოვკლა ნათლიმამა, ბოლოს სული წამიწყდესა!  
გამობრძანდი, ნათლიდედავ!— ხელში მოჰკიდებდა ხელსა:  
გამოუშვი ფარსადანი, არას ვერჩი არაფერსა;  
ვაპატიებ ნათლიმამას, ჯერ მირონს და მერე ღმერთსა;  
ფარსადანს მაინც არ მოვკლავ, თუ გინდ რომ წინ დამიხედესა!“  
მარტყოფის დღეობა იყო, თითონაც გეახელია.  
სუმბათოვიც იქ მობრძანდა, ის ჩვენი ქალაქელია.  
სუმბათოვს და მაკაროვსა თან შეეკაზმა ცხენია;

კნეინებიც იქა ჰყვანდათ, გადაეხვიათ ხელია.  
 როცა წირვა გამოვიდა, — იმისი მაღლი შენია, —  
 რომ დაინახა არსენამ, პირჯვარი დაუწერია:  
 ის სუმბათოვს ეუბნება: „ა, გამარჯვება შენია,  
 ქალაქში რომ შარს მიგდებდი, ახლა ხომ მოგასწარია!  
 მაგ შენს აპელატებზედა შენით აიღე ხელია!“  
 კნეინა ეუბნებოდა: „შენი ჭირიმე, შენია!  
 აიღე და გადაუგდე ეგ ოხრად დასარჩენია,  
 თორემ ეგ არსენა არის, ვიცი გამოგქრას ყელია;  
 სუყველა ოხრად დაგრჩება დროშკა და შენი ცხენია.  
 მე ხომ არსენა წამიყვანს, შენ დარჩი ცარიელია!“  
 შინლიანებ გადმოუგდო აპელატები სქელია.  
 წამოიფრინა არსენამ, გამორბის როგორც შველია,  
 მაკაროვს თავის ხმალზედა ააღებინა ხელია.  
 ორი კვირა თონფოს იყო, ქეიფებსაც ბევრსა სწევსა,  
 გამვლელსა და გამომვლელსა სუყველას ღვინოს ასმევსა.  
 მეორე კვირა გათავდა, ქალაქისკენ გამოსწევსა,  
 მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივით დასდევსა,  
 ღმერთს უშველია, არსენა, ამიერიით განსაცდელსა.  
 საცა მივა მიკიტნებთან, ყველა მას დაუქნევს ხელსა.  
 ამოიღებს იმ ფულებსა, ტოლ-ამხანაგებს აძლევსა:  
 „შესანდობარი დალიეთ, როცა არსენა მოკედესა“.  
 რაც იმას საქმე ეამბნა, იმისთანა თქვენსა მტერსა:  
 „ენახე წუხელი სიზმარი, სისხლში ვიღებავდი წვერსა,  
 წრეულ მე ხომ არ მოვრჩები, რაც რომ უნდა გადაწყედესა  
 ან თათარი მიღალატებს, ქართველი თუ მომარჩენსა.  
 ვერ დავესწრები აღდგომას, ვერ დავიჭერ წითელ კვერცხსა,  
 თუ ძალად არავინ მომკლა, ნებით გამოვიჭრი ყელსა!“  
 რას ამბობს, ბიჭი არსენა როდი ემეტება ღმერთსა!  
 თხუთმეტ წელს ყაჩაღად დადის, კაცის ცოდვა არ აძევსა,  
 სადაც ტიტველასა ნახავს, ჩოხას იხდის და აცმევსა.  
 მაშინ ი ჩვენი არსენა ზემო ქართლისკენ გასწევსა.

დიღმის სწორად რომ მივიდა, მიკიტნებმა დაათერესა, იქ ბევრი დააღეინეს, ტიკშიც ბევრი ჩაუსხესა.

მცხეთის პირდაპირ მოვიდა, მუხათგვერდში ქეიფს სწევსა, ის რომ პურის ქამად დაჯდა, ცხენს ბალახზე გაუშვებსა.

იმ გიორგი კუჭატნელსა გამჩენელი გაუწყრესა; წამოსულა კახეთიდან, იმერეთში გამოსწევსა,

ამოუარა არსენას, გამარჯობას ეტყვის ერთსა:

„გამარჯობა“, „გაგიმარჯოს“, სალამად ხომ ეს იყვესა.

„გიორგი, ღვინო მიირთვი, იმ შენი ღედ-მამის მხესა“.

ვა, შე საწყალო არსენა, რაღა ხარ კუუათხელია?

მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ, წითელი პარასკევია.

თუ ეგრე ღვინო მინდოდეს, ჯიბეში ფული ბევრია!“

ეს რომ არსენამ შეიტყო, მუხლზე დაიკრა ხელია:

„კაცად როდიღა ჩამაგდო, რაღა ბიჭობა ჩემია,

ბიჭი არსენა მოგიკვდეს, ვერ შეგიცვალო ფერია!“

გაჯავრებული არსენა პირიღამა ჰყრიდა ცეცხლსა.

წამოვიდა ის არსენა, იმ გიორგის დაუხვდესა:

„გიორგი, საით მიდიხარ, არსენა არ გაგიშვებსა,

ან უნდა მომცე ფულეები, ან შენი ცხენი დამრჩესა;“

გიორგიც ეუბნებოდა:

„ნუ გგონივარ ზოგ-ზოგები, შენ რომ მოჰკიდებდი ხელსა,

ლექის პირდაპირ ვიყავი, ოცი ტყვია მომარტყესა.

ორმოცი ტყვიაც მომარტყეს, ვერაფერი დამაკლესა!“

მაშინ გაჯავრდა არსენა, ხმაღზე მოისვამდა ხელსა,

პირით რომ ვერ გაიმეტა, ყუით გადაუკრა ცხენსა;

ხმალი ვადაში გადუტყდა, ის ცარიელი დარჩესა.

მაშინა თქვა არსენამა: „დღეს მზე დაბნელდა ჩემია!

ვახ, როგორ დროს მიღალატე, გაგიწყრეს გამჰედელია!“

შემოუქნია გიორგიმ, მოსკრა მარჯვენა ხელია!

დაღონებული არსენა ცხენიდან გაღმოვარდესა.

ცაცია \* ხელით ხანჯალსა არსენა მოისვამს ხელსა;  
ცოტას კიდევ მიაწვდენდა ბარძაყზედაც ხანჯლის წვევრსა,  
ცალი ყური ჩამოთალა, ლოყაზედაც მიჰყოფს ხელსა!  
„ეგეც გეყოფა, გიორგი, ექიმიც ვერ მოგარჩენსა!  
ვერ გაგიმეტე, გიორგი, ვაი დედოფლის ღმერთსა!“  
ერთი ლეკის ბიჭი ჰყავდა იმ გიორგი კუჭატელსა,—  
ბეჭებში დამბაჩა დასცა, პირში ბოლი გავარდესა.  
დაღონებული არსენა აიწვეს და ვერ აღგესა.  
„რახან მომკალი, გიორგი, სიტყვა მაინც დამცალდესა:  
ჩემი შვიდასი თუმანი კასპში ერთ დიდ კლდეში დევსა;  
ღარიბსა, არას მქონესა, მიეცეს და მოხმარდესა“.  
ამ სიტყვას რომ გაათავებს, არსენა ძირს დაეცესა.  
მცხეთელებმა რომ გაიგეს, თვალიდან ცრემლი ჰყარესა,  
ზოგი წყალში გამოვიდა, ზოგი ხიდზე მოიბრენსა.  
ოძელაშვილი არსენა ზედ ბორანზე დაუდევსა,  
გაიყვანეს მცხეთაშია და ანდერძი აუგესა.  
მარმარილოს ქვა გათალეს, დასწერეს და დაადევსა.  
„აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!“

---

\* მარცხენა.

\* \* \*

არსენს აქებენ ყაჩაღსა,  
დიახ, მართალი არიო,  
სამართალს ძებნა დაუწყო,  
გამომტვრია კარიო.  
გლებები გაახალისა,  
მოსწმინდა ნალველ ძმარიო.  
ბატონები რისთვის გვინდა,  
გამოგუხუროთ კარიო.  
სიკვდილის ღირსნი არიან,  
ამოწყდეს მათი გვარიო,  
სულ გადაგყაროთ ხრამებში,  
როცა აღელდეს მტკვარიო.

## ზვიადა ლობჯანიძე და გულითად გავაზელიზვილი

პირველ საყმონი ვყოფილვართ  
ჩვენ ორის ბატონისაო,  
ორთა ძმათ არეშიძეთა  
ნუ სწყალობს პირი ღვთისაო!  
აღარ ზოგაედნენ ქვრივ-ობოლთ,  
ცოლებს ართმევდნენ ყმებსაო,  
არ შინებიათ ცოდვისა,  
არც კითხულობდნენ ღმერთსაო.  
ღმერთმა ულხინოს ზვიადას,  
ზვიადას ლობჯანიძესო,  
არ დაეღევა შენდობა,  
სანამ მზე მიწას უმზერსო.  
ზვიადას უთქვამს: ღებელნო,  
მიკვირს რატომ არ გრცხვენიათ,  
რომ ამდენი ბიაბრობა\*  
ბატონთთვის შეგიჩინებიათ!  
ჯვარს იწერთ, ცოლები მოგყავთ,  
უწინ ბატონთან მიგყავთო;  
გამხდარხართ დედაკაცები,  
მათი ჩიქილით\*\* დახვალთო.

---

\* უნამუსობა, უსირცხვილობა.

\*\* ჩიქილა - ქალის თავსახურავი.

კაცი უნდა კაცი იყოს,  
არ ჰგავდეს ბებრუტუნასა,  
არ იკრუნჩხოდეს შიშითა,  
ფეხ-ქვეშ არ ეგოს ყველასა.  
დროა პასუხი გავსცეთ მტერს,  
ბატონთ დავარტყათ მეხიო,  
ამიერიდან მათ თესლსა  
ამოვუწმინდოთ ფეხიო.  
ხომ კარგად იცნობთ გაგნიას,  
ბატონთა მოურავსაო,  
ის ვნახოთ, დავასაჩუქროთ,  
მტრებს ის ჩავეიგდებს ხელთაო:  
სანადიროდ წამოიყვანს,  
ჩვენ ჩავესაფრნეთ ხვესაო,  
ჯილამშვილდები \* ვესროლოთ,  
თავი ვაცნობოთ მტერსაო.  
ღებელმა ახალგაზრდებმა  
ზვიადას მისცეს დასტური.  
მიიპატიეეს გაგნია,  
მიართვეს ღვინო და პური.  
შეზარხოშებულ მოურავს  
ღებელთ უამბეს ყოველი,  
უანგარიშო აჩუქეს,  
ფიციც მოსთხოვეს ცხოველი.  
გაგნიამ უთხრა: „ხვალ დილას  
წამოვალთ სანადიროსა,  
ღამე იქნება, რომ მოვალთ,  
წინ ჰალის ხიდის ბოლოსა;

---

\* ჯილამშვილდი — მშვილდ-ისარი, რომელსაც მონადირე აწყობს ტყე-ში და ფოთლებიანი ტოტებით ბურავს. საკმაოა ნადირი შეეხოს ამ მოწყობილობას, მომართული ისარი ასწლტება და ნადირს გაგმირავს.

წინ ქალის ხიდის კურტმებში \*  
 მზად დაგეხვდით ჩასაფრულები,  
 წინ-წინ მე შევალ ხიდზედა,  
 არ აგიჩქარდეთ გულები,  
 არვინ მესროლოთ ისარი,  
 არ წაიწყმიდოთ სულები!  
 ჩემს უკან, ვინც დაინახოთ,  
 ჰკა იმათ მწვავე ისრები,  
 არ დაზოგოთ მოსაკლავად,  
 ორთავ დასქერით კისრები.“  
 შეიარაღდნენ ლებელნი,  
 გასწიეს წინ ქალისკენა,  
 გაგნიაც დაფიქრებული  
 გაეშურა შინისკენა.  
 ღამე ყოფილა, მისულა,  
 გაგნია ბატონის სახლში,  
 წამდგარა ბატონების წინ,  
 უთქვამს: „წამობრძანდით მთაში,  
 ამბობენ თურმე ნადირი,  
 ურდოდ \*\* დადის საჯიხვეში;  
 არ იქნება მონადირემ,  
 რომ არ მოკლას ოთხი დღეში.  
 ხელი შევავლოთ მშვილდ-კაპარქს,  
 წვერბ ვუღესოთ ისრებსო,  
 სიზმარიც ვნახე მისთანა,  
 რომ ბლონად დავხოცთ ჯიხვებსო.“  
 ბატონთა უთხრეს მოურავს:  
 — წაუიღეთ, ჩემო გაგნია,  
 მაგრამ რა ვქნათ, გვეშინია,  
 სიზმრებმა სულ გადაგვრია.

\* კურტმები—ხიდის ქვის ან ცემენტის ბოძი.

\*\* ჯოგად.



-- ბატონო, ნება მიბოძეთ,  
 ეხლავე აგიხსნათ სიზმარი,  
 სულ ჭეშმარიტს მოგახსენებ,  
 თუ მწამს დღეის წირვის ზარი.  
 ბლომად დახოცავთ ჯიხვებსა,  
 ჯიხვებსა შავის კლდისასო,  
 ზურგს ავიკიდებ მძიმე ტვირთს  
 მოკლულის ნადირისასო.  
 დაუჯერეს ბატონებმა,  
 მიჰყვენ გაგნიას რჩევასა,  
 თითო ფარფალა \* დალიეს,  
 მთვარეში გაუდგნენ გზასა.  
 ხევს ჩასაფრულნი ლებელნი  
 ელიან არეშიძეთა;  
 მოჭიმული მშვილდ-ისრები  
 ყველას მზად უჭირავს ხელთა.  
 გათენებისას მივიდნენ,  
 არეშიძენი ხიდზედა,  
 ლებელნი რომ დაინახეს,  
 ღიმი მოუვათ პირზედა;  
 ზვიადა ეტყვის:—ბიჭებო,  
 არ დამართოთ ჭირი ჭირზედა,  
 ყველანი მარჯვედ იყავით,  
 ჯავრი ვიყაროთ მტრებზედა.  
 ჭირად ვუქციოთ ბატონებს,  
 რაც ლხინი ნახეს ჩვენზედა;  
 ეს თქვა ზვიადამ და უცბად  
 შეიქნა ისართ გრიალი,  
 ერთბაშად დასცეს ყიჟინა,  
 მოისმა ლებელთ ღრიალი:

---

\* ფარფალა—სასმისი.

ჰარია არეშიძესო,  
 ისარი ქარქაშს უძევსო.  
 მოჰკლეს უფროსი ბატონი,  
 უმცროსიც დაჭრეს ფერდსაო,  
 რივნის მორევში ჩავარდა,  
 შველა შესთხოვა ღმერთსაო.  
 ცურვით წყალს აპობს, მილარავს,  
 თავსაც არიდებს ქვებსაო,  
 უკან ღებელნი მისდევენ,  
 ისრებს ესვრიან ბევრსაო,  
 მაგრამ არც ერთი არ ხედება,  
 სანამ არ მივა ღებსაო.  
 სოფელს ღებს, რიონის პირად,  
 მალლა გორაზე სახლი დგას,  
 გარს გალავანი არტყია,  
 აქ ძვირად ნახავთ ამის ფარდს; \*  
 ამ სახლში მდგარა გულითად,  
 გვარად გავაშელიშვილი,  
 ავად ყოფილა ძალიან  
 საბრალო დედ-მამის შვილი.  
 სახლში შეუდის დიაცი  
 და ეუბნება გულითადს:  
 — ნეტაი მითხრა, რა უნდა  
 დღეს რიონის პირს ამდენს ხალხს!  
 — მე ვიცი ღებელთ ბიჭები,  
 ვისაც მოსდევენ წყალშიო,  
 ამწიეთ, ჩქარა ამწიეთ,  
 და გამიყვანეთ კარშიო.  
 ასწიეს ჩელტით გულითად,  
 ხიდის პირს მიიყვანესო,

---

\* მსგავსს.

მშვილდ-ისარი და კაპარჭი  
მიართვეს, მიუტანესო;  
უცბად მოსწია მშვილდ-ისარს,  
გახდა რიენისკენ შხუილი,  
დასჭრა მცურავი ბატონი,  
დააწყებინა ღმუილი.  
შენი ქირიმე, გულითად,  
რომ კიდევ გერჩის ღონეო,  
მოგვიკალ მტერი მოსისხლე,  
სახელი შოიფინეო.

## სოლომონ ბუტულაშვილი

სოლომონ ბუტულაშვილი  
კარგად ინახავდა ცხენსა;  
დილასა და სალამოსა  
ჯერზე აკმევს ლიტრა ქერსა,  
დღეში ორჯერ დაუურევს,  
გავაზე გადუსვამს ხელსა,  
მოიტანდა ერბოს წყალსა,  
იმით დაუბელდა წელსა.  
სოლომონს ეუბნებოდნენ:  
— რად აფუჭებ მაგდენ ქერსა?  
— მისთვის ვაჭმევ ამდენ ქერსა,  
ადგილს დამჭირდება ცხელსა.  
სოლომონ ბუტულაშვილი  
ქვეით ჯარში გამწესდესა.  
— შეილო, რომ მიხვალ, სოლომონ,  
სთველს რას უზამ ასაკრეფსა?  
— ჩემო დედავ, იქ მივუსწრებ  
კალოსა და შერმე სთველსა.  
ჩადიან ჩამდინარაზე,  
სოლომონ სჯობს თავადებსა;  
ფიროზაში რომ ჩავიდა,  
ომი იქ აუტეხესა.  
ფეხმარდი იყო სოლომონ,  
მაგრად ედგა ზარბაზნებსა,

გაქცევაში ქორსა ჰგავდა,  
სიმარდეში შავარდენსა.  
ეგრე იჭერდა ოსმალებს,  
როგორც რომ მიმინო მწყერსა.  
„ასოცი მოჰკლა სოლომანმ“,  
დასწერეს და გაგზავნესა,  
ქალაქში გამოაცხადეს,  
მართებელსაც მიაართვესა.  
დაბრუნდა ბიჭი სოლომონ,  
მიაჯირითებდა ცხენსა.  
სამი ურჯულო ბელადი  
დაბალში ჩაუსაფრდესა,  
სამთავ უტყუპეს თოფები,  
სოლომონს მოახვედრესა.  
ერთი ცხენსაც მოახვედრეს,  
ლამის ცხენიც დავარდესა.  
მარმარაშვილი ლაზარე  
ცხენს სადავეს დაუჭერსა.  
— ნუ გეშინია, სოლომონ,  
კიდევ ნახავ მამაშენსა.  
— მე მამაჩემს როგორ ვნახავ,  
კრელად ვხედავ მალლა მზესა.  
ბეჭებში თოფი მომარტყეს,  
პირში კვამლი გავარდესა.  
ჩემს მეუღლეს ეფემიას  
ნეტა რა გაახარებსა.  
ცოდო არის ჩემი ლეში  
ურჯულო თათრებს დარჩესა,  
ეს ჩემი შავი ქოჩორი  
ამ მთა ადგილას დალპესა.  
მოიტანეს ალმას დანა,  
მით მუცელი გაუჭრესა,

შუშანბრებში \* გაახვიეს,  
ეგები არ ასუნდესა.  
სამი დღე და სამი ღამე  
შაგ მიწას მიაბარესა.  
ჯარი რომ თავქვე დაბრუნდა,  
სოლომონ ამოიღესა,  
„კალასკაში“ ჩააწვინეს,  
ქვეშ ხალიჩა დაუგესა,  
სამოც უღელა ქურანი  
„კალასკაში“ შეაბესა.  
ერთი კარგი დიდი ზარი  
შუა ცხენსა დაჰკიდესა.  
რა სოფელშიაც შევიდნენ,  
ის სოფელი დაბნელდესა;  
ქალაქში რომ შემოვიდნენ,  
სულ დუქნები დაკეტესა,  
ტოლი და ტოლი ბიჭები  
აქეთ-იქით დაუდგესა.  
ვაიმე, ბიჭო სოლომონ,  
რა მარცხი მოგედო წელსა,  
საგარეჯოს თვალის ჩინო,  
ვიღა ჩამოივლის ჩვენსა.  
დებმა რომ კარგად იტირეს,  
დააცალეთ სიძეებსა;  
ეფემია მოიყვანეს,  
ერთი პირი ატირესა,  
ისევ მალე წაიყვანეს,  
მუცელი არ წაუხდესა;  
ეგები ბიჭი ეყოლოს,  
მამას ნათლად დაადგესა.

---

\* შუშანბარი—სურნელოვანი მინდვრის ყვავილი.

ეფემია შინ მოვიდა,  
ფიცხლავ ლოგინზე დაწვესა,  
დაწვა და ვაეი ეყოლა,  
სოლომონი დაარქვესა.  
ათი წლისა რომ შეიქნა,  
ისიც ჯარში გამწესდესა.  
ამ ლექსისა გამომთქმელსა  
ტანზე ჩონა ჩააცვესა,  
ხარ-ურემი რომ აჩუქეს,  
ზედაც მეხრე დაუსვესა,  
ორი მანეთიც აჩუქეს,  
უბეშია ჩაუდვესა.

## ც ი ც კ ა

გავარდა ბიჭი ციცკაი,  
ვერვინ მოჰკიდებს ხელსაო,  
გადავა საქართველოში,  
ალარ გადმოვა ხევსაო.  
ფასია ძაუგს წავიდა,  
ფულებს ჩაიყრის ბევრსაო,  
ცდოს \* ძირს დახვდება ციცკარ-  
— საით მიიქნევ ხელსაო,  
კობს \*\* რომ მემართა ვალები,  
გაგისწორდები დღესაო.  
— ნუ მომკლავ, ჩემო ციცკაო,  
შენის დედ-მამის მზესაო,  
ჩემ წილ ღუქანსა შენ მოგცემ,  
ეხლავ მოგიწერ ხელსაო.  
თუ კიდევ გეცოტავება,  
გაჩუქებ წითელ ცხენსაო.  
— აი შე, ძაღლო ვაჭარო,  
ხმალს ვერ გაივლებ ხელსაო,  
მეც ვგრე გეხვეწებოდი,  
აღმა რომ მგლეჯდი წვერსაო-  
დამაჯექ ხელ-ფეხ შეკრულსა,  
ციმბირს მიმავალ ტყვესაო.

---

\*, \*\* სოფლებია ყაზბეგის რაიონში.



ერთი შემოჰკრა ციცკამა,  
სისხლი შეასხა კლდესაო.  
ნუ გეშინია, ფასიავე,  
მე არ შევარცხვენ ხევსაო,  
არ გადაგაგდებ ტიალად,  
მკვდარს არ შეგაჰმევე მგლებსაო.  
ყარაულებს დაგიყენებ  
ორივე გველეთლებსაო.\*  
ძმებსაც მე შეგიტყობინებ,  
ფასია გზის პირს წევსაო.

---

\* გველეთი – სოფელია ხევსურეთში.

## სოლოლას ლექსი

ადგა სოლოლა, წავიდა,  
დადგა სტამბოლის გზაზედა.  
შვიდი დღე-ღამე იარა,  
მივიდა ხონთქრის კარზედა,  
ხონთქარი შინ არ დაუხვდა,  
ვეზირი დახვდა კარზედა.  
სოლოლა კალთას ეხვევა,  
ვეზირი კოცნის თავზედა.  
ვეზირმა შეიპატიჟა,  
დასვა თექ-ნაბადაზედა.

— სოლოლა, რისთვის გარჯილხარ  
ამ დიდი ხონთქრის კარზედა,  
რისთვის გარჯილხარ, მითხარი,  
განთქმულო გურჯისტანზედა? \*

— აბა რა გითხრა, ბატონო,  
ამ საჩივარის კარზედა?

— სოლოლავე, მეტად გაქებენ  
ჯირითის გასროლაზედა.

— მე ჯირითისა რა ვიცი,  
გავზრდილვარ გურჯისტანზედა,  
არც ამისათვის მოვსულვარ,  
საჩივარი მაქვს კარზედა.

— ხონთქარს ერთი არაბი ჰყავს,

---

\* გურჯისტანი—საქართველო.

განთქმული ჰინდისტანზედა,  
ვინც იმას ეჯიროთება,  
ჯილას დაადგამს თავზედა.  
— მე ჯირითისა რა ვიცი,  
ცხენიც არა მყავს ჯანზედა.  
— მაგას არ დაგიჯერებენ,  
გათამაშებენ ხვალ-ზევა.  
— რახან აღარ მეშვებიან,  
ვეჯიროთები ხანზედა,  
ცხენი მომგვარეთ ისეთი  
შვიდი წლის ნაბამ ხამზედა,  
შვიდ მეჯინიბეს ექიროს,  
ვერ იზავთებდეს\* კარზედა.  
შვიდი ისარი მიბოძეთ,  
წამწამს იღებდეს თმაზედა.  
— ისეთსა ცხენსა მოგიყვანთ,  
არ იყოს ქვეყანაზედა,  
იმას ძუა გავუზომოთ  
შვიდი მტკაველი ტანზედა.  
წავიდნენ, გამოუყვანეს  
შვიდი წლის ნაბამ ხამზედა,  
შვიდ მეჯინიბეს ექირა,  
მაინც დგებოდა ყალყზედა.  
შვიდი ისარი მიართვეს,  
წამწამს იღებდა თმაზედა.  
სოლოლამ ხელი გადუსვა,  
აკოცა ორსავე თვალზედა,  
შენი მურაზის ჰირიმე,  
შენ გამიყვანე თავზედა,  
ჩემსა უნაგირს დაგადგამ,

---

\* ვერ რიხიანობდეს.

აღმასი უზის თავზედა.  
 ორშაბათ დილა გათენდა,  
 გავიდნენ მოედანზედა.  
 მორბის, მოჭქუხის არაბი,  
 ვით შავარდენი ფრთაზედა,  
 სოლოლა სალამს მიართმევს,  
 არაბი ღგება განზედა.  
 — არ ვიცი შენი სალამი,  
 აბა გამექეც კვალზედა,  
 სამ ჯირითის მეტს არ გესვრი,  
 მოგყვები ფეხის ხმაზედა.  
 — აბა, გენაცვლე, ლურჯაო,  
 გადამარჩინე წამზედა;  
 გადაიწია სოლოლამ,  
 აკოცა მარჯვნივ თვალზედა.  
 გაექცა ჩვენი სოლოლა,  
 არაბი დაჰყვა კვალზედა.  
 ისე გაფრინდა სოლოლა,  
 ვით შავარდენი ცაზედა.  
 შემოჰკრავს პირველ ჯირითსა,  
 გადაევლება მხარზედა,  
 მეორე რომ დაატანა,  
 ცხენს მოხვდა უნაგირზედა,  
 მესამე რომ დააყოლა,  
 აღმასსა ასხლტა ტანზედა.  
 რა რიგი შეხვდა სოლოლას,  
 სიტყვაცა ჰკადრა წამზედა:  
 — რიგია შენი გაქცევა,  
 რიგია პირობაზედა,  
 ერთს გესვრი ეხლა, არაბო,  
 ისიც ღვთის სამართალზედა.  
 ეხლა გაექცა არაბი,

სოლოლა მისდევს კვალზედა.  
 ერთი ესროლა სოლოლამ,  
 დაასვა ბეჭის ფრთაზედა.  
 არაბი ძირს გადმოვარდა,  
 ცხენი გარბოდა წყალზედა,  
 შემოეხვივნენ მოლები,  
 ყურანს აბერტყენ თავზედა.  
 ხონთქარს კაცი მიუვიდა:  
 — არაბი მოკვდა წამზედა.  
 — მიჩვენეთ იმის მომკვლელი,  
 ჯილა დავადგა თავზედა.  
 სოლოლა მიჰყავთ არაბთან,  
 ფეხები მიაქვს განზედა,  
 სოლოლას ისე ჰგონია,  
 თავს მოაცლიან ტანზედა.  
 ის არ იცოდა სოლოლამ,  
 ხალათს აცმევენ ტანზედა,  
 უბოდეს ოქროს უნაგირ,  
 აღმასი უზის თავზედა,  
 უბოდეს ვერცხლის ჩიბუხი,  
 ჯილა დაადგეს თავზედა;  
 წადი ეხლა და იარე  
 გაბედვით მთა და ბარზედა.  
 თემში განთქმული სოლოლა  
 ცხენზე ზის არაბისასა,  
 სამკლავეე ჯაჭვი აცვია,  
 ხმალს ხმარობს ფოლადისასა,  
 ისეთი სამართალი აქვს,  
 ბეწვს შუა ჰყოფდა თმისასა.

## სისონა დარჩიას ლექსი

- ბ) ლექსის დაწერა მინდოდა  
ყმაწვილი კაცის ნღობაზე,  
საძაგელი საქმე მიქნეს  
ამ უნაგერას ბოგაზე\*.  
მეფის ჯარი დაგვახვედრეს,  
ფეხიც არ მედგა მიწაზე,  
მაგრამ ბევრჯერ თავს ვუშველე,  
ვერ მნახეს ვერსად ბინაზე.  
აგი მიხელა ნინიძე  
ჩვენ ძმასავით გვეპყრობოდა,  
თურმე ჩვენს ღალატს აწყობდა,  
მაგრამ რა შეეტყობოდა.  
იმ სულ-ხორცსა წაწყმედილსა  
ჯვარ-მედლებიც ეყოფოდა.  
დაგვატივა... ნაღვინევი  
ადვილად დასაჭერია;  
ჩაფრები შემოგვასიეს,  
საფარს მოგვადგა მტერია.  
ძელმა ტყვია არ იმაგრა,  
ვასილას მოხვდა მხარშია,  
უწინ სისონა გაიქცა,  
ვერ გაარჩევდი ბნელშია.

---

\* ხილზე.

ჟუკან ვასილა მისდევდა,  
ამომდგარი ყავს გვერდშია,  
ჟუკან მიატყეს თოფები  
ხუთი და ექვსი მკერდშია...  
მე რომ კარში გამოვედი,  
ფერი ეცვალა ყველასა,  
ნინიძე გამოვათხოვე  
მისი ბატონის მზერასა.  
მე თავი კარგად მეგონა,  
ფეხში ტყვია მომხვედროდა;  
იმედაშვილმა მესროლა,  
მაგრამ სროლა არ სცოდნოდა,  
ნეტავი აქ არ მენახა,  
სხვაგან სადმე შემხვედროდა.

### **სისონა დარჩიას მიერ ფირალი ძმის დაბრუნება**

ბ) დალოცვილი სისონაი  
ნაქებია კაცობაში,  
შევიდა და ძმა იტირა,  
არ შეშინდა იმდენ ჯარში.  
ცალ ხელში თოფი ეჭირა,  
ცრემლი მოსდიოდა თვალში:  
— შენ მკვდარი ხარ, მე ცოცხალი,  
როგორ გავიარო გზაში.  
აღე, ბიჭო! შემომხედე,  
თოფი არ მკრას ვინმემ თავში.  
მალე შენსა მოლაღატეს  
გავაგზავნი მალლა ცაში!

## სიმონა დოლიძე

ყოველი მხრით დაჩაგრული  
მე ვარ სიმონა დოლიძე,  
ექვსი წელი შემისრულდა,  
არ მიძინია ლოგინზე.  
უბედურად დადგა ჩემთვის  
ათას ცხრაას თერთმეტ წელი,  
იმედის ძაფი გამიწყდა,  
აწ სიცოცხლეს აღარ ველი.  
ცხრა ენკენისთვის მესიზმრა,  
ვითომ ყელს მეხვია გველი,  
ვეცადე, ვერ მოვიშორე,  
ისე შემეშალა ხელი. -----  
პოლიცია დამედევნა,  
ოცი წლის რომ შევიქენი,  
ჩემთვის ხალხი იტანჯოდა,  
მაგრამ ბევრი კარგი ვქენი.  
რაც ფირალად გადავეარდი,  
შემისრულდა ექვსი წელი,  
მოღალატეს თვალებს ვთხრიდი,  
მძულდა ხუცესი და ბერი.  
უდროოდ მოვწყუდი სამშობლოს,  
ვაი ჩემს ბედისწერასა,  
ისე დამდევდნენ ჩაფრები,  
ვით მონადირე მელასა...



გამოდრიოდნენ, მეძებდნენ  
ისინი მალალ გორებზე,  
დაბრუნებულნი ხალხს ცემდნენ,  
მკლავებს იწრთენიდნენ ღონეზე.  
მწარედ მტკიოდა მე გული  
უბრალო ხალხის ცემაზე,  
შევხედი და ოთხად გავგლიჯე,  
სისხლი გადვივლე ენაზე;  
ჩემი ჯავრი მეყოფოდა,  
მივდიოდი ჩემსა გზაზე,  
მემტერებოდნენ, რა მექნა,  
ვერ მივდიოდი ბინაზე.  
მინდოდა, გავმძლარიყავი  
ჩემი კოლ-შვილის ცქერიტა,  
დაჯდებოდნენ და ტიროდნენ,  
თვალეებს ივსებდნენ ცრემლიტა.  
რაც ამბავი მე გადამხდა,  
ყველას ვერ ვიტყვი ენითა.  
ჯაშუშები აირიენენ  
ვითა რწყილი და -კორიზა, \*  
არ ვფიქრობდი თუ გამცემდა  
ჩემი ძმა ანდრო დოლიძე,  
ერთად ვქამდით, ერთად ვსვამდით,  
ერთად ვწვებოდით ლოგინზე...  
ნატანებში გავემგზავრე,  
კოტა მუხლები მტკიოდა,  
კოცხალი ვერ დავბრუნდები,  
გული სულ ამას ჩიოდა.  
იქ შევედი, ნალიაში, \*\*

---

\* ბალღინჯო.

\*\* სასიმინდე.

ძმის მეტმა არვინ იცოდა,  
ერთი ამხანაგი მყავდა,  
ისიც ჩემსავით იწოდა.  
ძმასა ვთხოვე: — გამეგზავნე,  
მიყიდე ცოტა პურია,  
ამოვიღე და მივეცი,  
რაც რომ უნდოდა ფულია,  
მასთან ვუთხარ, ჩქარა მოდი,  
თან მშია და თან მწყურია.  
თურმე თავის ხელით მკლავდა,  
როგორც იუდა, ურია.  
„ურიადნიკი“ ჯაფარიძე  
ცნობილია გურიაში,  
ამ ჩემს ძმაკაცს უთქვამს მისთვის,  
ფირალი მყავს ნალიაში,  
აუცილებლად იშოვით,  
დღეს ველარ გამოვლენ კარში.  
ვუყურეთ, არვინ მოვიდა,  
დაგვიგვიანდა სადილი,  
ბურჭულაძე მეუბნება:  
— გამოვიცვალეთ ადგილი.  
გავიხედე და მოვიდა,  
გულზე დამესო ნემსია,  
როგორც სადილად დაეჯექით,  
ჩაფრები შემოგვესია.  
ისე აგვიტეხეს სროლა,  
ვითა გრგვინვა და მეხია,  
გადმოხტომის დროს მესროლეს,  
მომტეხეს ორივე ფეხია.  
ბურჭულაძეს გაეკიდნენ  
ურჯულოები, ძაღლები,  
ვხედავ, ვერას ვეხმარები,

ცრემლით მეესება თვალები.  
უცხად აზრი მომივიდა,  
და თან ძალა შევიძინე,  
ერთი თოფი გავისროლე,  
გულიანად გავიცინე;  
„ურიადნიკი“ ჯაფარიძე  
მე ჩემ გვერდში მოვიწვინე,  
ლომივით ავადრიალე  
აფიცრობის მომლოდინე.  
თურმე ჯვარ-მედლებს ელოდა  
ჩემ სიკვდილით ჯაფარიძე,  
მაგრამ თავზე წავიკალი,  
მე ვარ სიმონა დოლიძე!



## მიხას ლემსი

ამოდი, შუქურ-ვარსკვლავო,  
მთვარეს უბრუნე პირია,  
დილის მზევ, ამომავალო,  
შენ გადმოგვფინე სხივია.  
ამოდი შუა ქიზიყში,  
გვიცოცხლე სოფლის გმირია,  
იკითხე მიხას სახელი,  
გვარად ჭუჭულაშვილია.  
სიტყვა-პასუხში ნასწავლი,  
ვაჩუკად გამოზრდილია,  
ძმაცაცის მოსიყვარულე,  
მოლაპარაკე ტკბილია.  
სიტყვა არავის დაუთმო,  
არ გაატარა მტერია,  
სადაც შემოხვდა გზაზედა, •  
შეაცვლევინა ფერია.  
— მიხავ, რას ჩაფიქრებულხარ,  
ადე, უშველე თავსაო,  
წყალობა ციმბირს გიმზადებს,  
მოგპარსავს ცალ უღვაშსაო.  
— ისე არ წავალ აქედან,

არ გადავრიო ჭკვაზედა,  
 მოვტაცო ქალი მანანა,  
 გადავიწვინო მკლავეზედა.  
 დოინჯით გამოსულიყო,  
 ვანო წყალობას შვილია,  
 თან წაეყვანა მანანა,  
 სკოლებში გამოზრდილია.  
 სალამო ხანი ჩამოდგა,  
 რა საამური, გრილია,  
 ენახათ ქუჩულაშვილი,  
 ქევევიდან ამოვლილია.  
 — ვანო, საითკენ მიდიხარ?  
 ჰე, გამარჯობა შენია!  
 მინდა წაგართვა მანანა,  
 შინ მიხვალ ცარიელია.  
 — თუ შენისთანებს ვაძლევდე,  
 შენზე კარგებიც ბევრია,  
 ან უნდა იყოს მთავარი,  
 ან დიაკვანი, მღვდელია.  
 აღარ აყოვნა მიხამა,  
 ვანოს წააელო ხელია,  
 წაართვა კოხტა მანანა,  
 წელზე მოხვია ხელია.  
 ოდოჭაშვილი წყალობა  
 გაუხდა მიხას მტერია:  
 — თუ ვერ გავგზავნო ციმბირში,  
 დღე დაილიოს ჩემია;  
 მართლაც, თავისი ათავა,  
 ბორკილი მისცა სქელია,  
 სოფელზე ამოატარა:  
 — ჰე, გამარჯობათ თქვენია!  
 ხედავთ, მივდივარ ციმბირში,

გავხდი მთავრობის ძღვენია,  
მაგრამ ნუ შეგეშინდებათ,  
ეს ჩემთვის არაფერია,  
ამასაც მალე დავემტვრევ,  
არც მოსვლა არის ძნელია...  
ერთ თვეზე უკან დაბრუნდა,  
როგორც ალაზნის შველია...  
ბრძანება გამოსულიყო,  
ყველა მხარეზე სწერია:  
ათასი ოქრო ვაჩუქოთ,  
ვინც მიხას დამპყრელია.  
ეცადნენ ძალიან ბევრი,  
შეუკრეს გზა და კვალია...  
უზანგებს ამტვრევს ულაყი,  
შეგარდენივით მალია.  
ამოჰკრა ქუსლი, მოსხლიტა,  
ვერ მიაყოლეს თვალია;  
უკუღმა ტყვიას ისროდა,  
როგორც რომ ნიაღვარია...  
უხდება გავლა-გამოვლა,  
ვატყაცი მშვენიერია,  
იარაღს რომ შემოირტყამს,  
შეხედავ, საზარელია.  
ან ახლო ვინ მიუღდება,  
ან ვინ მოჰკიდოს ხელია,  
არსად დააკლდა დღეობას,  
არც ქორწილს გადასცდენია;  
ქედელში მოდის დღეობა,  
იმისი მაღლი ჩვენია.  
იქაც ბევრი იქეიფა,  
ბევრი აჭენა ცხენია.  
წინიდან შემოეყრება

გიორგი მკედლიშვილია.  
 — მიხავ, მობრძანდი სახლშია,  
 ფეხქვეშ დაგიგო რბილია,  
 დაგიკლა ცხვარი და ძროხა,  
 თან ლეინო გასვა ტკბილია.  
 მოტყუებით შეიყვანეს,  
 ცხენი დაუბეს გარეთა,  
 თითონ შიგ შეიპატიყეს,  
 ლხინს გაუხდიან მწარეთა.  
 თამადობაც მიულოცეს,  
 ხელადა დაუჭერია,  
 უკან მოსდევენ ჩაფრები,  
 აქ მიხას გაურბენია.  
 კითხვა-კითხვითა მიადგნენ,  
 შუალამისა ხანია.  
 მიხამ რომ გამოიხედა,  
 ლეინისგან იყო მთვრალია,  
 შვიდჯერ ესროლა ბერდენკა,  
 აღარ უჭრიდა თვალია.  
 მარცხენა მკლავში მოარტყეს,  
 აღარა ჰქონდა ძალია,  
 თოფი ძირს ჩამოუვარდა,  
 თითონ შამოხსნეს ხმალია.  
 მიხა ეტლში ჩააწვინეს  
 დაჭრილი, ლეინით მთვრალია,  
 გვერდით ჩაუჯდა ჩაფარი,  
 უკან მიჰყვება ჯარია.  
 უფროსმა გადმოიხედა,  
 მიხას დააელო თვალია:  
 — რა კოხტა ვაჭიკაცია,  
 რა კოხტა სანახავია!  
 ნეტავ, რაც შენი ხმა მომდის,

ვაჰ, მიხავე, შენი ბრალია?  
— თქვენა სტყუიხართ, ბატონო,  
არ არის ჩემი ბრალია,  
მდიდარის გამძარცველი ვარ,  
ლარიზის შემნახავია.  
დააწვინეს ჰოსპიტალში,  
იქ დარჩა ცოტა ხანია.  
დაადგა ორი ექიმი,  
კარგად მოურჩა მკლავია.  
მზეს დაგიბნელებთ, ჩაფრებო,  
თუ გავახწიე თავია...  
მაგრამ მოვიდა ქალაღდი,  
სოფლიდან მოწერილია,  
წაიყვათ, აღარ დაბრუნდეს,  
მიხა ქუჭულაშვილია...  
— ხმელეთზე ბევრი მატარეს,  
ბევრიც მაჩვენეს ზღვებია,  
ისეთ ალაგას დამკარგეს,  
იქიდან მოსვლა ძნელია,  
იქიდან მოსვლას ვინ იტყვის,  
იყო ხმელეთის ძირია.  
დაფიქრდა ქუჭულაშვილი,  
თვალზე გაუფრთხა ძილია.  
— თუ არა ვნახე ქიზიყი,  
დღე მითენდება შავია,  
ან დღეს მოვკვდები, ან ხვალე,  
უნდა გავწირო თავია.  
გატეხა რკინის ბორკილი,  
გააღო ციხის კარია,  
გადმოხტა, გამოიპარა,  
ვერავენ მოჰკრა თვალა.  
საქართველოსკენ წამოვა,



როგორც რომ ნიაქარია;  
განჯაზე ამოიბინა,  
წინ დახვდა მეფის ჯარია.  
ბორკილი მისცეს ფეხებში,  
გაუკრეს რკინის მკლავია.  
მაგრამ იხელთა მიხამ დრო,  
ბორკილი შემოიწყვიტა,  
წინ შეხვდნენ ყარაულები,  
ყველა უღმობლად დაწყვიტა.  
ქვემო მაჩხანს მოვიდა,  
დუშმანს წააგლო ხელია.

— მზეს დაგიბნელებ, წყალობავ,  
ჯავრი მაქვს გულში შენია,  
შენ თუ ცოცხალი გაგიშვა,  
რა ბიჭობაა ჩემია?  
ორშაბათს დღესა მიადგა  
ოდოქაშვილსა მტერია,  
წყალობამ გამოიხედა,  
ყვითლად ეცვალა ფერია.

— შენი ჭირიმე, ნუ მომკლავ,  
შენი ჭირიმე, შენია.  
თუ გინდა, მოგცე ფულები,  
ჩემი ძროხა და ცხენია.

— მე შენი ფული არ მინდა,  
ჯავრი მაქვს მარტო შენია.  
ესროლა სამი ბერდენკა,  
სისხლით შეღება ველია.  
ბიჭიკოს ჩამოჟარა,  
ტყვია დაარტყა ცხელია,  
გაჯავრებული მივარდა,  
ხანჯლით გამოსჭრა ყელია.  
ქუმბათის ბოლოს გავიდა,

ცოტა ხანს შეუსვენია;  
გახედა, გზაზე მოდიან,  
ქურდები დალესტნელია,  
მოუდით დაპარულები,  
ცხვარ-ძროხა საქონელია.  
გადუდგა მიხა წინადა:  
— დრო აღარ არის თქვენია,  
ორთავეს ორი ესროლა,  
ორნივე გახადა მკვდარია,  
ერთი ისე გაეპარა,  
ველარ მოასწრო თვალია.  
აპყარა იარაღები,  
ლეში ჩაყარა ხრამშია,  
მოაბრუნა საქონელი,  
უკლებელია თვალშია.

— იკურთხოს ჭუჭულაშვილი,  
იკურთხოს იმის დღენია,  
ეგ არის ჩვენი პატრონი,  
ეგ არის ჩვენი მხსნელია.  
ჯარი ეძებდა მიხასა,  
ბოქაული მიმხედარიყო,  
ალაზნის სანაპიროზე,  
ბინაში ჩამომხტარიყო.  
იქვე მიეგნოთ მიხასთვის,  
შემოხვეოდა ჯარია,  
გამოხტა მიხა ვეფხვივით,  
ყველას თავზარი დაჭრია.  
მერე გადუხტა ნიშასა,  
თოფს წამოავლო ხელია.  
გასტყორცნა ბოქაულისკენ,  
მოჰკლა იმისი ცხენია.  
პირდაპირ ტყვიას ისროდნენ,

მირბოდა ნიშა ცხენია,  
 სამ ვერსზე გამოიბინა:  
 — ცხენო, რა მოგიხდენია?  
 გადმოხტა ჭუჭულაშვილი,  
 წელზე დაადო ხელია,  
 შემოურბინა გარშემო:  
 — ცხენო, რა მოგიხდენია?  
 წინიდან ტყვია მორტყმული,  
 ბეჭებში გაურბენია.  
 — ათ წელს დავდივარ ყაჩაღად,  
 ახლა მომიკლეს ცხენია.  
 ზემო მაჩხაანს ავიდა,  
 საკმაზი უნაგირითა.  
 — ანდრიავე, ცხენი მოიტა,  
 შენ კი იარე ვირითა.  
 ანდრია უარს ვერ ეტყვის,  
 თორემ თავს მოსჭრის დილითა.  
 შეკაზმა ცხენი ყაჯრითა,\*  
 მოჭგვარა სიტყვით ზრდილითა.  
 მიხა იორლას შემჯღარა,  
 ტყისაკენ გაიჯირითა.  
 — გზა დამილოცეთ, ბიჭებო,  
 ალალი ენა-პირითა.  
 გვერდით უსხედან ბიჭები,  
 ძმადნაფიცები ჭირშია,  
 პაგია, ლადო—ორივე,  
 ვეფხვები გასაჭირშია.  
 გათენდა დილა. წამოდგნენ,  
 ჭუჭუტ დასცილდნენ თავზედა,  
 თავწყაროს ჩამოსულიყვნენ,

---

\* ცხენის მოსართავი.

ცხენებზე შესხდნენ კარზედა,  
შირაქის გულში მიაღვნი  
შლიდარ ყაყიჩას კარზედა.

გამოიხედა ყაყიჩამ,  
ყორანი აზის მხარზედა.

— მითხარ, რას დაიარები,  
დადექ, ვინა ხარ განზედა?

— დადექ, ყაყიჩავ, სულელო,  
მწარე ნუ გინდა თავზედა,  
მოვსულვარ შენსა ბინაში,  
ვზივარ უბელო რაშზედა.

მათხოვე შენი საკმაზი,  
ჩემს ცხენს შეშვენის ტანზედა.

— მეც შენზე კარგი ბიჭი ვარ,  
დარდები თუ გაქვს ჩემზედა,

საკმაზი ჩემთვის ვიყიდე,  
მეც კარგა ვზივარ ცხენზედა;  
ელაპარაკა ქვეიანად,

სიტყვები უთხრა ტკბილია:

— მე სხვა ვინმე არ გეგონო,  
მე ვარ ქუქულაშვილია.

— ვინც გინდა იყო, არ მოგცემ,  
ყაყიჩ ჩაუდგა ძალზედა.

დასცა თორმეტი ბეჭებში,  
ყაყიჩ წამოწვა მხარზედა.

დედა მოგიკვდეს, ყაყიჩავ,  
საკმაზ დაიდგი თავზედა,

შეკაზმე შენი ქურანი,  
როცა წახვიდე მთაზედა.

შეკაზმა ცხენი, წავიდა,  
ჩავიდა მულანლოზედა.

ფიქრებში იყო გართული,

ვერ მოდიოდა გონზედა.  
 შევიდა გზის პირ ღუქანში,  
 მელუქნეს მისცა ფულია:  
 — მოიტა ღვინო-არაყი,  
 თორემ ძალიან მწყურია.  
 დალიონ ამხანაგებმა,  
 აცხონონ ჩემი სულია...  
 ამოიარა სამუხზე,  
 ავიდა აღმანოზედა,  
 შირაქში ქედზე გადმოდგა,  
 ბოქაულს შეხვდა გზაზედა,  
 წინათ რომ ცხენი წაართვა,  
 მიხას ყარღაჩის წყალზედა,\*  
 იქ მოსულიყო ისევა,  
 ხელი ეჭირა ხმალზედა,  
 ფიქრობდა: მიხას შემყარა,  
 ხმალი მოვარტყა თავზედა;  
 ენახოთ, რომ მიხაც აღმოჩნდა,  
 ჩასაფრებია გზაზედა.  
 ბოქაულსა მიაძახა:  
 — დადექ, ცოტა ხანს განზედა,  
 მინდა რომ გელაპარაკო,  
 არ მოვახდინოთ შარია,  
 არ გვინდა ბნელი სამარე,  
 ბნელი სამარე შავია.  
 აიშვი და მომაწოდე  
 შენი თოფი და ხმალია;  
 ცხენიც საჩქაროდ მომგვარე,  
 არ გამოუშვა ხანია.

---

\* განთქმული წყარო სიღნაღის რაიონში. ხალხი თამარის წყაროსაც ეძახის. იქვე მაღლობზე კოშკსაც თამარ მეფის სახელი აქვს.

აიშუა და მიაწოდა,  
თავის თოფი და ხმალია,  
ცხენიც მოჰგვარა საჩქაროდ,  
არ დაუყოვნა ხანია.  
— ღმერთს გეფიცები, მიხაჯან,  
არა ვარ შენთვის ავია,  
მე თუ შენ თოფი გესროლო,  
მომტყდეს მარჯვენა მკლავია.  
ათი-თორმეტი ჩაფარი,  
ყველა შიშისგან მთვრალია.  
ეგრე უჭირავთ თოფები,  
როგორც მეთევზეს თარია.  
ელაპარაკა ჩაფრებსა,  
უამბო ცოტა ხანია,  
თუ ეგ შეგისვამთ ცხენზედა,  
დღე დაგადგებათ შავია.  
ფეხით მოსდევდა ჩაფრებსა,  
როგორც რომ პატიმარია;  
იქ უფროსებმა დატუქსეს,  
დღე დააყენეს მწარეა,  
აჭყარეს „აპელატები“,  
ტემლაკები და ჯვარია.  
ხელმწიფეს კაცი მივარდა:  
ერთი ყაჩაღი არია,  
გვიბრძანე, როგორ მოვიქცეთ,  
როგორ ვიხმართ ძალია.  
მოგვიკლა ბევრი ვაჟკაცი,  
ბევრჯერ გვიფრინა ჯარია.  
ცხრა ბოქაული ინაცვლა,  
ეხლა მეთე არია,  
მაგასაც მალე გამოვცვლით,  
თუ დარჩა ცოტა ხანია.

შესრულდა ცხრა წელიწადი,  
ეხლა მეათე არია.  
პირდაპირ მიდის ბინაში,  
ქვეყანა არივ-დარია,  
დილით რო დაკლას კამეჩი,  
სალამოს უნდა ხარია;  
დაკუწოს ნაქერ-ნაქერად,  
არ გადაყაროს ძვალთა,  
ლარიბ ხალხს ჩამოურიგოს,  
არავის დარჩეს თვალთა.  
ბევრსა წაართვა თულები,  
გახდა ხაზინადარია.  
გვერდითა ჰყვანან ბიჭები,  
თითონ ბელადი არია,  
გვიბრძანე, როგორ მოვიქცეთ,  
როგორ ვიხმაროთ ძალთა.  
დაფიქრდა გვირგვინოსანი,  
სიტყვა წარმოთქვა წყნარია:  
— გაგზავნეთ ყველგან სალდათი,  
ჩაფრები კიდევ სხვანთა,  
გაგზავნეთ ყველა მხარეზე,  
საითაც მიხა არია,  
დაიჭირეთ და მომგვარეთ,  
მაგრა გაუბით მკლავთა,  
თუ ცოცხალსა ვერ დამიჭერთ,  
მაშინ გახადეთ მკედარია.  
თან მოჰყვა ხალხის დარბევა,  
ქიზიყო, თქვენი ბრალთა,  
არსად გაუშვეს ქათამი,  
ინდაური და ცხვარია.  
ბევრი გაგზავნეს ციხეში,  
ბევრი ციმბირში არია.

ბეერი იმათი ნაცემი  
დღესაც ლოგინში არია.  
მშვიდობით, ამხანაგებო,  
ღმერთმა დაგწეროთ ჯვარია,  
რაც ვიქეიფეთ, ის გვეყო,  
შეგვისრულდება ყაველია.  
მინდა დაებრუნდე ქიზიყში,  
ვადინო სისხლის ღვარია,  
თორემ გახელდა დარდები,  
გულზე დამადგა მკვალაია.  
ამდენი ხალხის წუხილი  
გახდება ჩემი ბრალაია.  
შემოვხედე ჩემსა მებრძოლებს  
და ვანაცვალო თავია,  
თან ერთი გული არ მიმწევს,  
გზა მეჩვენება შავადა!  
ჩემი წერა და აჯალი  
სიზმარში ვნახე ცხადადა:  
ვითომ ვიყავი ქიზიყში  
დამშვიდებული, წყნარადა,  
მარცხენა წვერი მომპარსეს,  
მარჯვენა დამრჩა ცალადა.  
მარჯვენა ხელის თითებში  
სისხლი მდიოდა შავადა,  
მაშინვე ვუთხარ ბიჭებსა:  
„არ გადავრჩები მშრალადა.  
ან სამნივ დავიხოცებით  
ან მე გავხდები ავადა“.  
ბიჭებმა მომცეს ნუგეში,  
მეც გავუგონე ამათა,  
ოთხი დღე დავრჩი შილდაში,  
სუფრას ვიჯექი თამადა;



დილით მოგრეკეთ ცხენები,  
შევაჯმეთ აღრიანადა,  
სოფელზე გამოვიარეთ  
ძმაკაცის სანახავადა.  
არ მეშინოდა მტრებისა,  
მოვდივარ არხეინადა,  
ქალიხევეზე გადმოვედი,  
შევამჩნიე, რომ ინათა;  
იქ ბინა მეგულეობდა,  
ვესტუმრებოდი იმათა.  
მე ძმაკაცურად მივედი,  
მან არ დამინდო ძმურადა.  
წავიდა, შეატყობინა  
შამილას ბიქსა გიგასა,  
გაგზავნის თუქურმიშაში,  
ბოქაულს მისცემს ნიშანსა.  
შეკაზმა ცხენი, წავიდა,  
წასვლბ არ დაიზარა,  
უამბო ჩემზე პოლკოვნიკს,  
ამ ცნობით გაახარა.  
ექვსასი კაცი წამოვა,  
რომ ცოტა არ იქმარა.  
ამბობენ, კიდევ წაგვივა,  
თუ ხერხი მოიხმარა.  
გადმოერივნენ ქალიხევს,  
კიდეც მზე გადიხარა.  
ას-ასი კაცი გაიყო,  
წავიდა გალა-გალა;  
გასაველ-გამოსაველში  
უყელეს ფონებთანა,

გაღმიდან ჰალას ჩაუსხდნენ,  
გამოღმა ყანა-ყანა;  
ისეთი ალყა დაარტყეს,  
ჰინჰველაც ველარ გავა.  
ხომ ვიციტ, არ გადარჩება,  
აბა, საითლა წაეა?  
აღე, ბიჰებო, წაეიდეთ,  
არ გვარგებს აგრე ჯღომა.  
ვამჩნევ, რომ ხალხი ბევრია,  
ძნელია გადარჩენა.  
შესხდნენ სამივე ცხენებზე,  
ასტეხეს თოფის სროლა;  
— ო, მიხავ, შენი კაცობა,  
გიყვარდა მტრებთან ბრძოლა.  
მოკალი შენი მოსისხლე,  
ააგე ზედა გორა.  
ხალხო, თქვენ გენაცვალეებით,  
გაიგეთ მიხას ბრძოლა.  
მიხა რომ ცხენზე გადაჯდა,  
ბერდენკა გაასწორა,  
გამობრუნდა მტრისაკენ,  
ხშირ-ხშირად გაისროლა.  
ვერ მოკლა თავის მოსისხლე,  
ვერავეინ მოიშორა.  
მიხა რომ ქვევით დაბრუნდა,  
გამოყვა ლადო თანა,  
უკან დაურჩათ პაგია,  
გზა შავად ჩაეშალა.  
ნარბენი ცხენი წაეჰცა,  
ნეტავ რას მიეხალა?  
ვაი, შენ დასალუპავო,  
შენგნით გზა ჩამეშალა.

აილო ხელში ბერდენკა,  
ყანებში გადავიდა;  
ასტეხა ტყვიის ზუზუნნი,  
ხალხი სულ მოერიდა.  
გაუცურდება მუცელზე,  
სამოც ნაბიჯზე წავა,  
ასტეხავს თოფის სროლასა,  
ახლა სხვა მხრისკენ გავა.  
დაუქრა ერთი სალდათი,  
ცხენიდან გადიყვანა;  
ცხენიც საჩქაროდ მოუკლა,  
შორს აღარ წაიყვანა.  
ეგრე ეწვალა საწყალი,  
ძალიან დაიღალა,  
მაგრამ თითონაც დაიქრა,  
თითონაც ენაცვალა;  
და აბრიალებს თვალებსა,  
პირიდან ცეცხლსა ყრიდა,  
დააკრაქუნა კბილები,  
ფეხით მიწასა სთხრიდა.  
გადაერივნენ პირდაპირ,  
გადვიდნენ ხმალდახმალა,  
წინ აფიცერი მიუძღვით,  
სალდათებს უთხრა ჩქარა:  
— ესროლეთ, მიხა ყოფილა,  
გამოლევია ძალა.  
წამოიხედა პაგიამ,  
რა ქნას, რა გაეჯავრა,  
აფიცერს შემოაგინა,  
რას იყურები მაღლა?  
მიხას აქ რატომ კითხულობ,  
მიხა გავიდა გაღმა.

აფიკერს ხმალი ეჭირა,  
პაგიას დაჰკრა მაგრა;  
— წყეულო, შენ აქ მოკვდები,  
მიხა მოკვდება გაღმა.  
ეს ხომ აქ დაეაბოლოვებთ,  
მიხასი გითხრათ ახლა.  
ორთავემ ჩამოირბინეს  
ცხენებით ჩქარა-ჩქარა,  
აგეთი ყოფა ჰქონდათ,  
მთა-ბარ მოჰქონდათ თანა.  
ჟუკანა ქარი დააგდეს,  
წინიდან მისცეს ძალა.  
საით მხარესაც გასწია,  
სალდათი გაიშალა.  
მიხამ დაიწყო გინება,  
სახე რამ შემიშალა,  
ეს ამოტენა სალდათი  
საიდან მომეპარა?  
ჰა, ცხენო, გადამარჩინე,  
ქუსლი ამოჰკრა ჩქარა,  
ცხენმა დაიწყო გრიალი,  
ალაზანს ჩაიყვანა;  
ალაზნის პირზე მისულა,  
მისულა გადამდგარა,  
უნდა გაეიდნენ ქალაში,  
ცხენი არ გაჰყვა თანა.  
ცხენი ნაშეში დაეფლო,  
მკერდამდე ჩაიმალა.

ირბინა თორმეტ ვერსზედა,  
რა ჰქნას, რომ დაილალა?  
მიხა გადმოხტა ცხენიდან,  
ჟუკან მობრუნდა ჩქარა,

თოფში აქვს ხუთი ვაზნა,  
ხუთნივე დაცალა ჩქარა.  
ხუთი რომ კიდევ ჩააგდო,  
მტერმა არ დააცალა.  
გალმიდან ტყვიას ისროდენ,  
მიხას თოფს მიეხალა,  
გატეხა შუა ჩახმახი,  
დღესაც ვერ გამომდგარა,  
მიხამ გაუშვა ხელები,  
უკულმა გადაყარა.  
ვაი, შენ დასალუპავო,  
შენგნით გზა შემეშალა.  
შე დასაწევავო სალდათო,  
რა გინდა მიხასგანა?  
არც მინდა თქვენი ბორკილი,  
არც თქვენი პურის ქამა.  
მოკვედები ჩემი ხელითა,  
ცოდვა ზღოს თქვენმა გვარმა.  
ამოიღო რევოლვერი,  
მიიღო ნიკაპთანა,  
გამოსწია და გავარდა,  
აგლიჯა თავის ქალა.  
გაიგო ლადომ სიკვდილი,  
გუნებით შეიშალა,  
ვაჟკაცსა გული გაუტყდა,  
გამოეღია ძალა.  
სამი საეენი კლდე იყო,  
ტყვიამ სულ გადათხარა,  
ფეხებში მიწა უცვივა,  
მუხლამდე დაიმალა.  
აიშვა „სავაზნეები“  
და შორით გადაყარა,

ექესასი კაცი ესროდა,  
ხანმა არ გაიარა.  
თხუთმეტი მოხვდა ბეჭებში,  
ძუძუსთან გაიარა,  
საწყალი ფეხზე ვერ დადგა,  
რაცრაცით გაიარა,  
დახუჭა ორივე თვალები,  
ზუზუნი შექნა ქარმა.  
ძლივს მოვიშორეთ ოხერი,  
ცხენები დაგველა.  
არ შეიბრალეს მიხაკო,  
ლანძლავდნენ წარამარა.  
ზოგმა აგლიჯა ულვაში,  
ზოგმა ზედ გადიარა;  
ხალხი განზე დააყენა,  
გაშინჯა აფიცერმა,  
შემოხსნა ქამარ-ხანჯალი,  
ნაგანა ააცალა,  
აუშვა სავაზნეები,  
სალდათებს გადუყარა;  
ჯიბეში ხელი ჩაუყო,  
საფულე ააცალა,  
ამოიღო და დათვალა,  
ჯიბეში ჩაიყარა;  
გაგზავნეს ერთი მეურმე,  
ურემი მოიტანა.  
მეურმემ სამივე ერთად,  
„ლაგირში“ აიტანა.  
ამოთხარეს დიდი ორმო,  
ჩააწყვეს მხარდამხარა.

## აფრასიონ მერკვილაძე

აფრასიონ მერკვილაძეს  
თავი უკვდავი ეგონა,  
ოცი ტყვია მოახვედრეს,  
ფეტვის კაკალი ეგონა.  
ჩაფრები რომ შემოერთყნენ,  
კოლო-ბუზები ეგონა,  
რაზმელების შეძახება  
ტკბილი სიმღერა ეგონა.  
მკერდს სისხლი გადმომდინარე  
წითელი ვარდი ეგონა,  
გულგანგმირული მოძმენი  
დაძინებული ეგონა.  
ვეფხვივით დანავარდობდა,  
მტრები ჩიტები ეგონა,  
ნათელი რომ დაუბნელდა,  
მას დაღამება ეგონა.  
ხევში უსულოდ მწოლარეს  
თავი მინდორში ეგონა,  
საფლავში რომ ჩაასვენეს,  
თავი საფარში ეგონა.  
მდულარე ცრემლებს ვაფრქვევდი,  
ეუუუნა წვიმა ეგონა.

## პაატა ბალაშვილი

მუცალმა ჯარი შეჰყარა  
პირიქით დაღესტნისაო,  
წამოვიდა და ჩამოხტა  
ქალას ალაზნის პირსაო.  
გზააბნეული ბელადი  
სულ მალლა-მალლა ხტისაო,  
თოფი უჭირავს მაჭარი,  
მუჭით წამალსა ჰყრისაო;  
მუცალსა ატყობინებდა:  
გზა ვიცი სიღნაღისაო,  
სიღნაღში კარგად მიგიყვან,  
თუ დავლას მიდებ წილსაო,  
ლამაზ-ლამაზი ქალები  
ჩაერეკოთ ქალის პირსაო.  
ეს ბალაშვილი პაატა,  
სწყალობდეს თვალი ღვთისაო,  
— ადექით, ძმებო, გავიდეთ,  
გზა შევკრათ ჩვენი მტრისაო,  
ტყვეები დავაყრევინოთ,  
მადლი გვეყოფა ოვთისაო;  
ზაალსა თოფი მოარტყეს,  
თვალთა ხმელეთისაო,  
ზურაბიც მას მიაყოლეს,  
დაბნელდა შუქი მზისაო.



მოდის, მოსტირის პაატა,  
ცხარე ცრემლებსა ღვრისაო,  
ვაი, რა ძნელი ყოფილა  
სიკვდილი ორი ძმისაო.  
თოფითაც ბევრი დახოცა,  
ხმალითაც გადმოჰყურისაო,  
ისე გაიქცა მუცალი,  
როგორც ნადირი ტყისაო.  
ალაზანზე რომ ჩავიდა,  
წყლით გამოივლებს პირსაო,  
თავის ჯარს თვალი მოაეღო,  
დაფენილია ძირსაო.

## გიგა და გიორგი

ვინა სთქვა ჩეთმას \* ბალახი  
ცხერისათვის საძოვარია?  
ვინა სთქვა, ენამც გაუხმეს,  
ჩეთმაში თუშის ცხვარია?  
ლეკში გავარდა ამბავი,  
ჩეთმაში თუშის ცხვარია.  
შემოუარეს სოფლებსა,  
ჯარს მოუყარეს თავია,  
ათარეშებენ ცხენებსა,  
ყველა ვაჟკაცი არია.  
გათენებისას დაეცნენ,  
შავად დაჰხურეს ცანია,  
ასტეხეს თოფის ქუხილი,  
ადინეს სისხლის ღვარია,  
სულ ერთმანეთში არიეს  
თორმეტი ფარა ცხვარია.  
აგრე აივსო ხევები,  
როგორც რომ ნიაღვარია;  
გიგა მოვარდა სოფლადა,  
შუბლზე გადასდის ღვარია,  
გიორგის შეატყობინა:  
— ძმაო, წაასხეს ცხვარია.  
— აქ რალა მოგარბენინებს,

---

\* საზამთრო საძოვრები.

იქ არ ჩაიკალ თავია?  
 — მაშ აქვე მოკვდეს გიორგი,  
 ცოცხალმა მისცეს ცხვარია.  
 ნულარ მინახავს მთა-გორი,  
 თუ არ აგიბა მხარია.  
 შეეაზმა გიგამ ლურჯაი,  
 ცხენია ნაომარია,  
 გიგა რომ ლურჯას ოოახტა,  
 ძირიდან უქრის ქარია;  
 გიგას თან გაჰყვა გიორგი,  
 მხარზე ჰკიღია ხმალია.  
 ხელში უჭირავს მათრახი  
 შეიღკეცი, შეიღი მხარია.  
 გადაჰკრა ლურჯას ბარკალზე,  
 ბარკალს ააძრო ტყავია.  
 გასწი, შენ ლურჯავ ტიალო,  
 სანამ მიჰკრიდეს თვალია,  
 დამწიე ლეკის შეიღებსა,  
 საით მიუღით ცხვარია;  
 მოკლენი გაარბენინა,  
 იპოვა ცხვრისა კვალია;  
 გაჰხედა ბექის თავებსა,  
 ვაცებს შეასწრო თვალია,  
 დაუტეციათ ვაცებსა,  
 ეყენებს მიჰქონდა ჩქამია.\*  
 — სად მიხვალ, ვაცო ტიალო,  
 საით მიგიღის ცხვარია?  
 ერთმანეთს ეუბნებიან:  
 — აგერა ჩვენი ცხვარია,  
 ყელშავი ვაცი ჩვენია,

---

\* ხმაურ ი.

რქაზე ჰკიდია ზარია.  
წინ-წინ ვაცები დავხოცოთ,  
ვაბორიალოთ ცხვარია.  
გიგაის თოფი გავარდა,  
ვაცსა დაწყვიტა რქანია,  
დაბრუნდა ვაცი ბედშავი,  
ცხრაპირად შედგა ცხვარია.  
ასტეხა თოფის ქუხილი,  
ადინა სისხლის ღვარია.  
გიორგის გიგა მოუკლეს,  
მოსწყვიტეს საწყალს მხარია.  
დალონებულმა გიორგიმ  
მხრებში მოიკა ძალია,  
გადარწყო ტყვია-წამალი,  
თოფს გაუსწორა ტარია.  
ლურჯას სადავე გადასდო,  
შენამც წასულხარ ფშავშია,  
არ მილალატო, გენაცვლე,  
იქ შეგეყაროს ჯარია,  
ომშიაც მომშველებოდე,  
არ გაერეკოთ ცხვარია.  
ასტეხა თოფის ქუხილი,  
ადინა სისხლის ღვარია,  
ოცდათექვსმეტსა ბელადსა  
მარტომ შეუკრა გზანია,  
შვიდი შესწირა გიგასა:  
— იყავით მაგის ყმანია,  
იმ გძელსა სოფელს გაჰყევით,  
ლიტრით უზიდეთ წყალია.  
თითო შესწირა მწყემსებსაც:  
— უკან უბრუნეთ ცხვარია.  
თითო შესწირა ფარეხსა:

— დახვეტეთ გომის კარია.  
 თითო ძალღებსაც შესწირა:  
 — უკეთეთ სალაფავია.  
 შვიდი თითონაც იმძლოლა:  
 — მეც მომინდება ყმანია.  
 როცა მობეზრდა გიორგის,  
 იშიშვლა თავის ხმალია,  
 ხმალდახმალ გადმოერია,  
 ლეკმა დაუგდო გზანია.  
 აგრე დაკაფა ლეკები,  
 როგორც ნადირმა ცხვარია.  
 რომ დაიღალა გიორგი,  
 დაჰვარდა თავის ხმალია.  
 დასჭრეს, დაკაფეს ლეკებმა,  
 როგორც საქადე მხალია.  
 ლურჯასა ფშავში გასულსა  
 ჩამოეშალა მხარია.  
 — რალას უყურებთ, თუშებო,  
 წაასხეს თქვენი ცხვარია.  
 — გიგა-გიორგი არ არი,  
 როგორ წაასხეს ცხვარია?  
 — გიგაც მოკლეს და გიორგიც,  
 არც ერთი აღარ არია.  
 დასხდნენ, დალაგდნენ თუშები,  
 წავედნენ როგორც ქარია;  
 აღმოსავლეთის მხარითა  
 მაღალი ლეკის მთანია,  
 აგრე გადუდით იქ ცხვარი,  
 როგორც რომ ღარზე წყალია.  
 წამოეწივნენ თუშები,  
 როგორც რომ ნიავ-ქარია,  
 წინ-წინ მოუკლეს ბელადი,

დაარტყმინეს მხარია,  
აგრე გაწყვიტეს ლეკები,  
მოამბე აღარ არია.  
წამოუარეს ვაცებსა,  
უკან უბრუნეს ცხვარია;  
დაითამაშეს ვაცებმა,  
ჩეთმას ჩარეკეს ცხვარია.  
— რა გათამაშებთ, ტიალნო,  
გიგა-გიორგი მკვდარია.  
ფშავემა ჩაიცივა შავეები,  
ყველამ შესწყვიტა ჩქამია,  
აგრე დასტირის ქურანი,  
როგორც საყვარელს ქალია.  
სამი დღე და სამი ღამე  
ვაცმა არ გასძრა რქანია,  
ძალღებიც აგრე ჰგლოვობენ,  
თითქო შვილი ჰყავთ მკვდარია.

## გიგაის ცოლი

დაგზავნეს ყარაულები,—  
„ჩემას დაგვივლე თვალთა“.  
ყარაულები დაბრუნდნენ,  
არის შუადღის ხანია.  
მოუტანიათ ამბავი  
გულსაკლავ-საოხრალია:  
„თათრებს მოუკლავთ გიგაი,  
ზედ არ აბია მკლავთა“.  
გიგაის ცოლმა გაიგო,  
წელს შემოირტყა ხმალია,  
შეახტა გიგას ლურჯასა,  
შავარდენივით მალია.  
აბა, თუ, ლურჯავ, ნალ გიქრის,  
ახლა შენი დრო არია.  
ლურჯაი ეგრე გაფრინდა,  
წელს მიაქვს ნიავე-ქარია,  
ძაღვებიც გვერდზე მიჰქროდნენ,  
ბრძოლა სწადიანთ ცხარია.  
ძაღვებმა სუნით შეატყვეს,  
— აქეთ წასულა ცხვარია.  
გადაიხედა გორიდან,  
გამოჩნდა ვაცის რქანია;  
— სად მიხვალ, ვაცო ტიალო,  
საით მიგიდის ცხვარია?

ვაცმა ხმა იცნო პატრონის,  
სულ შეაგუბა ცხვარია.  
ქალმა დაჰკივლა თათრებსა—  
„საით მიგიდით ცხვარია!“  
გაიძრო თავის ფრანგული,  
გიგას ნაჭერი არია.  
გაჰკრა, გამოჰკრა თათრებსა,  
მინდორს გაშალა თავნია,  
კაფა და კაფა ურჯულო,  
ქალას ჩაყარა მკედარია;  
გამოუქეჩა \* ვაცებსა,  
ჩეთმას ჩარეკა ცხვარია.  
ვაცებმა იქით გასწიეს,  
სადაც გიგაი მკედარია.  
ერთ ჩალრმევებულ ალაგას  
სულ მთლად შეგუბდა ცხვარია.  
თოხლებმა დასცეს ბაბანი,  
როგორც მგლოვანი ზარია.  
მაშინ იფიქრა დიაცმა:  
„აქ ჩემი ქმარი არია“.  
მივარდა და დაეკონა,  
წელს შემოარტყა ხმალია.  
„ნუ დაიდარდებ, გიგაი,  
ჩვენ ცხვარ ჩვენ ხელთვე არია.  
ისე ავკეპე ლეკები,  
როგორც ბოლოკა მხალია“...  
თავით დაუდგა ქურანი,  
დასტირის, როგორც ქალია.  
— ჰე, ვაცნო, რაღას უყურებთ,  
გასწით, გაგყვებათ ცხვარია.

---

\* წინდაუყენა.



გამოუქეჩეს ვაცებმა,  
თან გაიყოლეს ცხვარია.  
ქალი შეახტა ქურანსა,  
წინ შემოიღო მკვდარია.  
ცხვარი მიუღის, მიტირის,  
კრემლი ჩამოსდის მწარია,  
სახეზე აწვიმს ვაჟაკსა,  
სულ დაუბანა ტანია.  
სოფელს რომ მიუახლოვდნენ,  
ატირდა ქალი, რძალა:—  
„ვაჟაკო, ხალხში განთქმულო,  
ღმერთმა გაცხონოს მკვდარია,  
რა უყავ შენი ხანჯალი,  
ან ეგ მარჯვენა მკლაურია“.  
ჩქარა გაუჭრეს საფლავი—  
„ცოდოა, დიდხნის მკვდარია“.  
საფლავში რომ ჩაასვენეს,  
ყირაზე დადგა ცხვარია,  
ძაღვები პირზე უღგანან,  
არ ემეტებათ მკვდარია.  
ადგა და ქალმა დაიწყო,—  
ეს მათი წესი არია,—  
„ნუ დაიდარდებ, გიგაი,  
ცხვარი ჩვენ ხელთვე არია.  
ისე გაუუძღვე ცხვარ-ძროხას,—  
არ მოვაშორო თვალია;  
საცა შემოვხვდე ურჯულოს,  
ფიცხლავ მოვაქრა თავია.“

## ბმირი ქალი

ურჯულო მელიქიშვილი  
დაიარება მთებსაო,  
ყვარელსა შემოჩვევია,  
ბევრსა შოულობს ტყვესაო.  
გაჯავრებული წავიდა,  
მუხლზე იცემდა ხელსაო.  
ჯარები შემოუსია  
ფერისცვალობა დღესაო.  
დაწვა, დადაგა სოფლები,  
მკვდრებს ვერ აუქცევ ფეხსაო.  
ქალი და რძალი წაასხა,  
გადაუყენა მთებსაო;  
სულ ფეხშიშველი ატარა,  
ქოში არ ეცვა ერთსაო,  
ერთ სასახლეში შეუძღვა  
შვიდ ლამეს, შვიდსა დღესაო.  
ლეკებსა ეუბნებოდა:  
შიგ გამოვარჩევ ერთსაო.  
შევიდა, გამოარჩია,  
სახლს ანათებდა ბნელსაო.  
— მოდი, დაბრძანდი, ლამაზო,  
გადაგეხვევი ყელსაო.  
— შენ წუწკო მელიქიშვილო,  
უკულმა იწერ პირჯვარსა,

შენ როგორ გადაგეხვევი  
მკვლელს მამის, მაზლის, კმრისასა.  
კიდევაც მომაგონდება  
ვატყაცი ჩემი ქმარია.  
ბელადსა ყელი გამოსჭრა,  
წავიდა სისხლის ღვარია.  
ადგა ქალი, წამოვიდა,  
სამშვიდობოში არია.

## ხვედია გულამაყრელი

შოდი ლექსი ვთქვათ, ბიჭებო,  
ლექსი კაისა ყმისაო,  
ხვედიას გულამაყრელსა  
ერთი არა სჯობს ცდითაო.  
ოსმალში თათარს აქებენ,  
თარაქამაის შვილსაო,  
აქებენ მაგის ლურჯასა,  
მუხლი აქვს ნიავეკრისაო.  
ეტყოდა ამხანაგებსა,  
დავეყვით ალაზნის პირსაო,  
მეცხვარეები მოდიან,  
ბაჟი ავილოთ ცხერისაო.  
ხვედიას შემოეყარნენ,  
გულამაყრელის შვილსაო:  
— ეგ ცხვარი მოგვე, ხვედიაე,  
თორე მსხვერპლ გაგხდი ხმლისაო.  
შემოუტია თათარმა, იმედიცა აქვს ცდისაო,  
ხვედია შემოუბრუნებს  
მგელივით ლეგა პირსაო;  
თათარს დაადვა მაჟარი  
მარჯვენა ძუძუს ძირსაო,  
გადაგორდება თათარი,  
პირს სისხლი ამოსდისაო.  
— თორმეტი მოჰკალ, თათარო,

ახლა ხომ მოგხვდა ჭკვისაო!  
გეძებდით, თათრის შვილებო,  
ჯაერი მაქვს წინა წლისაო,  
შარშან რომ თუშებ დახოცეთ,  
იმათსა ვიღებ სისხლსაო;  
მიუდი საიქიოსა,  
იმათსამც წყალსა ზიდაო,  
მე ბევრი სხვა გაეისტუმრე  
ყაჩალი თათრებისაო.

## ყაყიჩი შავერდაშვილი

ცხვარი ჰყავთ ფშავლის ჩობნებსა  
ნაპირსა ალაზნისასა,  
გადმოუცვივდნენ თათრები,  
ფერს ვერ უცვლიან მგლისასა.  
ყაყიჩი შავერდაშვილი  
ქორსა ჰგავს მალლის მთისასა,  
ხმალდახმალ გადმოუფრინდა:  
„ჯავრსა არ შეეჭამ მტრისასა.  
რაად მოგიდისთ, ძაღლებო,  
ვალსა რად მადებთ სხვისასა?“  
თოფ დაჰკრეს უქშერებელსა,\*  
სისხლითა ჰღებავს ქვიშასა.  
ჩობნების ტირილს გაჰკვირდნენ,  
ქექასა ჰგაედა ცისასა:  
„ვინ ჩავა სათათრეთშია,  
კვალს ვინ ჩაჰყვება ცხვრისასა,  
ვინ გაგვიბრუნებს ბელადსა  
ურჯულთა თათრებისას!“

---

\* ძნელად გასამეტებელსა.

## ხოგაის მინდი

ხოგაის მინდი კედებოდა,  
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,  
ცა ჰექდა, მიწა გრგვინავდა,  
სული გვიანა ჰხდებოდა.  
ჩამოდოდა ვარსკვლავი,  
მთვარეც უკულმა დგებოდა,  
ქორ-შავარდენი, არწივი  
სუ მხრებით იხოშებოდა.  
მალლის ჭიუხის ნადირი  
სატირლად ემზადებოდა,  
ცხენი იმისი ტიალი  
ლურჯა ტოტზედა დგებოდა.  
ცოლი იმისი ბეჩავი  
სულ შავად იმოსებოდა,  
დედის იმისას საბრალოს  
ტირილს აღარა ჰხდებოდა;  
მამა იმისი საბრალო  
თმა-წვერით იხოშებოდა.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ზეზვა გაფრინდაული-ფუნჩაიშვილი

ა) ზეზვას. მთქმელი მარტილო ხუტურიძე, ჩაწერილია 1949 წელს მთა-თუშეთში სალომე ბაკურიძის მიერ.

ბ) გაფრინდაულის აშბავი. მთქმელი გიო წვერაიძე, ჩაწერილია მთა-თუშეთში, სოფელ შტროლათში, სალომე ბაკურიძის მიერ.

გ) კახეთში ფუნჩაიშვილი. ფშაური ლექსები, შეკრებილი დავით ხიხანიშვილის მიერ, ტფილისი, 1887 წ. გვ. 4.

დ) ხმალს ზვერავს გაფრინდაული. იქვე, გვ. 54.

ბიჭი ვარ გოგოლაური. ჩაწერილი ილია კავკავაძის მიერ. „ხალხური პოეზია“, 1934 წ. გვ. 90.

მაპუკა ქალუნდაური. მთქმელი ვაჟია გოგოპური, ჩაწერილია სოფელ კორმეშაში (დუშეთის რ.) 1951 წელს ნიკო გოგოპურის მიერ.

ელუში თულუმიშვილი. ფშაური ლექსები დ. ხიხანიშვილის შეკრებილი, გვ. 5.

ძალიკა ხიმიაური. ჩაწერილია ხევსურეთში. ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, სახელგამი, ტფილისი, 1931 წ. გვ. 45.

გმირი დედაბერი ქრისტინე. ჩაწერილია ქართლში თედო რახიკაშვილის მიერ. ხალხური სიტყვიერება, ნაწილი I. ექ. თაყაიშვილის რედაქციით. გვ. 181.

მაია წუნეთელი—მათე ყაჩაღი.

ა) მაიას თავგადახავალი; ბ) ერეკლესა და მაიას შეხვედრა; გ) მაიას დატყვევება და სიკვდილი; დ) მათე—მაიას პირიშე; ე) შარაზე იწვა უძრავად. ჩაწერილია ქართლში ალ. გარსევანიშვილის მიერ. „სამშობლო“, 1915 წ. №№ 102, 103, 104.

თამრო ვაშლოვანელი.

ა) ლექები სულ გავაქიეთ; ბ) ვაშლოვანელებს ვილა მისცემს; გ) თამროს ვაშლოვანელსა; დ) თრიალეთს დიდსა ხაყდარში. ჩაწერილია ქართლში დ. ჯანელიძის მიერ. „ივერია“, 1882 წ. № 12.

თინა წავკისელი ერეკლე მეფეს. იქვე.

გელა ნათელაშვილი. ჩაწერილია ზ. კიკინაძის მიერ. „დროება“ 1878 წ. № 169

არსენას ლექსი. პეტრე უშიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწილი პირველი, ტფილისი 1937 წ. გვ. 22. გადმობეჭდილია შცირე ცვლილებებით.



არსენს აქებენ უაჩაღსა. ჩაწერილია ახალციხის რაიონში 1936 წელს. ინახება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტ. ფოლკლორულ არქივში № 11441.

ზვიადა ლობჯანიძე და გულითად გავაშელიშვილი. ს. მაკალათია, მთის რაკა, სახელგამი. 1930 წ. გვ. 22. გადმობეჭდილია მცირე ცვლილებებით.

ხოლოშონ ბუტულაშვილი. ტექსტი შედგენილია ორი ვარიანტის მიხედვით. იხ. ხალხური პოეზია, 1934 წ. გვ. 104 და პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 76.

ციცკა. მოხეუერი ლექსები ალ. გომიაშვილის რედაქციით, 1939 წ. გვ. 45. სისონა დარჩიას ლექსი.

ა) ლექსის დაწერა მინდოდა. ალ. ლლონტი. გურული ფოლკლორი, თბილისი, 1937 წ. გვ. 91. გადმობეჭდილია მცირე ცვლილებებით.

ბ) სისონა დარჩიას მიერ ფირალი ძმის დატერება. მიხ. ჩიქოვანი, ფირალის ეპოსი გურიაში, „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, 1934 წ. გვ. 117. გადმობეჭდილია მცირე ცვლილებებით.

სიმონა დოლიძე. მთქმელი დარდო სიხარულიძე. ჩაწერილია ქს. სინარულიძის მიერ ჩოხატაურის რაიონში, სოფელ გოგოლეისუბანში, 1933 წელს.

მიხას ლექსი. ქიხიყის პოეტური ფოლკლორი, ს. ებრაღიძისა და შ. ლლონტის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი, 1940 წ. გვ. 37. გადმობეჭდილია მცირე ცვლილებებით.

აფრახიონ მერკვილაძე. საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, ტ. I, თბილისი, 1936 წ. გვ. 318.

პაატა ბალაშვილი. ქიხიყის პოეტური ფოლკლორი, გვ. 34.

გოგა და გიორგი. მთქმელი ბრმა მეჩონგურე ილო მათიაშვილი. ჩაწერილია კახეთში. ხალხური პოეზია, 1934 წ. გვ. 92.

გოგაის ცოლი. მთქმელი ვასილ ჯანაშვილი, ჩაწერილია სოფელ ზემო თანბანში ბიძინა სენბიაშვილის მიერ. ქიხიყის პოეტური ფოლკლორი, გვ. 70.

გმირი ქალი. ჩაწერილია კახეთში თედო რაზიკაშვილის მიერ, ხალხური სიტყვიერება, I, ე. თაყაიშვილის რედ. გვ. 375.

ხვედია გუდამაყრელი. ჩაწერილია ფშავში. ტექსტი შედგენილია ორი ვარიანტის მიხედვით. იხ. ფშავური ლექსები შეკრებილი დ. ხიზანიშვილის მიერ, გვ. 51; ხალხური ლექსები და ზღაპრები შეკრებილი გიორგი ნათაძის მიერ, ს. ხუციშვილის რედაქციით, თბილისი, 1950 წ. გვ. 14.

ყუყიჩი შავერდაშვილი. ჩაწერილია ვაჟა ფშაველას მიერ, ხალხური სიტყვიერება, I, ე. თაყაიშვილის რედ. გვ. 492.

ხოგაის მინდი. მთქმელი შალვა ბეწუკლიშვილი, ჩაწერილია ფშავში. ხალხური პოეზია, 1934 წ. გვ. 125.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	83-3
1. ზეზვას . . . . .	39
2. გაფრინდაულის ამბავი	40
3. კახეთში ფუნჩაიშვილი . . . . .	43
4. ხმალს ზვერავეს გაფრინდაული	43
5. მამუკა ქალუნდაური . . . . .	45
6. ელუმი თულუმიშვილი	46
7. ძალლიკა ხიმიკაური . . . . .	47
8. გმირი დედაბერი ქრისტინე .	48
9. მაიას თავგადასავალი . . . . .	49
10. ერეკლეს და მაიას შეხვედრა .	49
11- მაიას დატყვევება და სიკვდილი .	50
12. მათე—მაიას ქირიმე . . . . .	51
13. შარაზე იწვა უძრავად . . . . .	51
14. თინა წავკისელი ერეკლე მეფეს	53
15. გელა ნათელაშვილი . . . . .	54
16. არსენას ლექსი . . . . .	57
17. არსენს აქებენ ყაჩაღსა . . . . .	69
18. ზვიადა ლობჯანიძე და გულითად გავაშელიშვილი	70
19. სოლომონ ბუტულაშვილი . . . . .	76
20. ციცკა . . . . .	80
21. სოლოლას ლექსი . . . . .	82
22. სისონა დარჩიას ლექსი . . . . .	86
23. სისონა დარჩიას მიერ ფირალი ძმის დატირება	87
24. სიმონა დოლიძე . . . . .	88
25. მიხას ლექსი . . . . .	92
26. აფრასიონ მერკვილაძე	111
27. პაატა ბალაშვილი	112
28. გიგა და გიორგი	114
29. გიგაის ცოლი . . . . .	119
30. გმირი ქალი . . . . .	122
31. ხვედია გუდამაყრელი	124
32. ყაყიჩი შაჟერდაშვილი	126
33. ხოგაის მინდი . . . . .	127
შენიშვნები	128



ГРУЗИНСКИЕ НАРОДНЫЕ СТИХИ  
О ГЕРОЯХ

(на грузинском языке)

Министерство Просвещения ГССР

Д Е Т Ю Н И З Д А Т

Тбилиси—1952 г.

ჟასი 3 მან. 20 კაპ.

რედაქტორი—ნ. კალანდარიშვილი, მხატვარი—მ. თუშმალიშვილი, მხატვარი რედაქტ.—ეკ. ბაღდავაძე. ტექნიკური რედაქტ.—ქ. დემუროვა, კორექტ.—ე. ფოფხაძე. კონტრ. კორექტორი—ნ. ჩირაძე, გამომშვები—მ. მექმარიაშვილი

---

გადაეცა წარმოებას 18/IV-52 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VI-52 წ. ნაბეჭდ ფორმ. რაოდენობა 8, საალ. ფორმ. რაოდენობა 5, ანაწილობ. ზომ.  $5\frac{1}{2} \times 8\frac{1}{2}$ , ქალ. ზომა  $54 \times 84$ , შეკვ. № 364. ტირ. 7000, უფ 04009.

---

სტამბა № 3 საქპოლიგრაფგამომცემ. კამოს ქ. № 68.

